41 ქართული ოცნება

განვითარება ყველა რეგიონს

ძვირფასო მარნეულელებო!

მოგმართავთ იმ პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, რომელიც აღებული გვაქვს თითოეული თქვენგანის, ჩვენი ქვეყნის თითოეული მოქალაქის წინაშე!

თქვენ კარგად იცით სამშობლოს სიყვარულის, მშვიდობისა და თავისუფლების ფასი. ეს არის ის ღირებულებები, რომელთა ერთგულება თითოეული ჩვენგანის ვალია და რომლებმაც უნდა გაგვაერთიანოს ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ. „ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო, ჩვენი მრავალათასიანი გუნდის სახელით აცხადებს, რომ მყარად დაიცავს ჩვენს ეროვნულ ინტერესებს და არავის მისცემს მძიმე წარსულში დაბრუნების შესაძლებლობას. „განვითარება ყველა რეგიონს“ – ეს არის ჩვენი მიზანი, რომელიც თქვენი მხარდაჭერით და თქვენთან ერთად, აუცილებლად შესრულდება.

ჩვენ მიერ წარდგენილი მარნეულის მერობის კანდიდატისა და მარნეულის საკრებულოს წევრობის კანდიდატების მხარდაჭერა უმნიშვნელოვანესია იმისათვის, რომ წარმატებით გაგრძელდეს მუნიციპალიტეტში დაწყებული პროექტები, გაგრძელდეს მარნეულის განვითარება და გაუმჯობესდეს მოსახლეობის ცხოვრების პირობები.

ჩვენ გვაქვს კონკრეტული ხედვა და გეგმები, თუ როგორ უნდა განვითარდეს მარნეული და გვჯერა, რომ ჩვენი გუნდი თქვენგან კვლავაც მყარ მხარდაჭერას მიიღებს.

სამართლიან და თავისუფალ არჩევნებში ერთად უნდა ვიზეიმოთ ჩვენი საერთო გამარჯვება!

„ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო

ᲛᲐᲠᲜᲔᲣᲚᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘ

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐ

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, ეკონომიკის სისტემური რეფორმირება დაიწყო. ჩვენი გუნდის მმართველობის პირობებში, ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი, 2012 წელს არსებული 27,2 მილიარდიდან, 2020 წელს, პანდემიის ფონზე, 49,4 მილიარდ ლარს გაუთანაბრდა. ხელისუფლების გრძელვადიანი გეგმის მიხედვით, საშუალოვადიან პერიოდში, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპი, საშუალოდ, 5%-ის ფარგლებში იქნება. ამ ფონზე, აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებლის განახევრება იგეგმება, რაც 2030 წლისთვის 10.7%-მდე შემცირებას გულისხმობს.

„ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში, ბიზნესი გათავისუფლდა პოლიტიკური წნეხისგან, შესაბამისად, ბიზნესსექტორის ბრუნვის მოცულობა, 2012 წელს არსებული 42 მილიარდიდან 2020 წელს, გლობალური პანდემიის მიუხედავად, 109,5 მილიარდ ლარს გაუტოლდა. ჩვენი გუნდის ეკონომიკური პოლიტიკა მიზნად ისახავს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და შემდგომი ოთხი წლის განმავლობაში უმუშევრობის დონე შემცირდება ერთნიშნა მაჩვენებლამდე.

ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘ

გასული წლების განმავლობაში, მნიშვნელოვნად გაიზარდა ხელისუფლების მიერ მარნეულის მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამებისა და პროექტების მოცულობა. იზრდება ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი – 2013 წელს 14,2 მლნ იყო, 2021 წლის საპროგნოზო მაჩვენებელი 45,6 მლნ ლარია, იზრდება ზოგადად მუნიციპალიტეტის საკუთარი საბიუჯეტო შემოსავლებიც – თუ 2013 წელს ადგილობრივი ბიუჯეტი სულ 5,6 მლნ ლარი იყო, 2021 წელს საპროგნოზო მაჩვენებელი 31,5 მლნ ლარს შეადგენს.

ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ

სოფლის მეურნეობის განვითარება, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გაზრდა და სოფლად ადამიანების დასაქმება სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტია. „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, სოფლის მეურნეობის დაფინანსება, 2012 წელს არსებული 228 მილიონიდან 2020 წლისთვის 434 მლნ ლარამდე გაიზარდა, ხოლო სურსათის ექსპორტი – 511 მლნ დოლარიდან 942 მლნ დოლარამდე.

მარნეულის მუნიციპალიტეტში, 2015-2021 წლებში, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროგრამით **„დანერგე მომავალი“,** 2015-2021 წლებში, 1 005 ჰექტარზე განხორციელდა 122 პროექტი (ჯამურად 9 366 240 ლარი). **აგროდაზღვევის პროგრამით**, 2014-2021 წლებში, ჯამურად, 1 653 ჰექტარია დაზღვეული (მოსავლის ღირებულება 8 309 296 ლარი), რითაც 453-მა ბენეფიციარმა ისარგებლა. ფერმერებისთვის სტიქიით მიყენებული ზარალი 523 105 ლარით ანაზღაურდა. **სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის** პროგრამით, დღეისათვის მოქმედებს 11 კოოპერატივი (87 მეპაიე, მობილიზებული კაპიტალი 22 500 ლარი). **შეღავათიანი აგროკრედიტის** პროგრამით, 2013-2021 წლებში, ჯამურად 83 399 381 ლარის პროექტები განხორციელდა (თანამონაწილეობა 11 435 312 ლარი), რითაც 2 304-მა უნიკალურმა ბენეფიციარმა ისარგებლა. **სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომისა და მოქნილობის თანადაფინანსების პროგრამით** ხელი შეეწყო 8 პროექტს (ჯამურად 305 049 ლარი, თანადაფინანსება 115 862 ლარი). 2019 წელს **სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების პროგრამით** შესყიდულია 75 330 ლარის ტექნიკა (თანამონაწილეობა 37 665 ლარი). 2020 წლიდან ამოქმედდა 2 პროგრამა: **მერძევეობის დარგის მოდერნიზაციისა და ბაზარზე წვდომის ხელშეწყობის პროგრამით** 6 პროექტის განვითარებას შეეწყო ხელი (ჯამურად 1 469 389 ლარი, თანადაფინანსება 1 085 326 ლარი) და **აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამით** განხორციელდა 6 პროექტი (ჯამურად 353 500 ლარი, თანადაფინანსება 176 750 ლარი). **სამელიორაციო სამუშაოებზე**, 2013-2020 წლებში, 17 602 444 ლარი დაიხარჯა, შედეგად წყალუზრუნველყოფილი მიწის ფართობი, ბოლო წლებში, 0 -დან (2013 წელს) 6 047 ჰექტრამდე (2020 წელს) გაიზარდა. 2013 წლიდან დღემდე, ქვეყნის მასშტაბით, სახელმწიფოს მხარდაჭერით, უსასყიდლოდ ხორციელდება სხვადასხვა **ვეტერინარული ღონისძიება**: ვაქცინაცია, ლაბორატორიული გამოკვლევები, ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია და სხვა, რაც განაპირობებს მეცხოველეობის განვითარებასა და საექსპორტო პოტენციალის გაზრდას.

- **მომდევნო წლებში გაგრძელდება სოფლის მეურნეობის ხელშემწყობი პროგრამები, რაც, მომდევნო 4 წლის განმავლობაში, მუნიციპალიტეტში რამდენიმე ასეულ ახალ სამუშაო ადგილს შექმნის და სოფლის მეურნეობაში დასაქმებული ადამიანების შემოსავლების ზრდას უზრუნველყოფს;**
- **ქვეყნის მასშტაბით, 2024 წლამდე განხორციელდება 1.2 მილიონი ჰექტარი მიწის სისტემური რეგისტრაცია, რითაც პრაქტიკულად მიწის რეგისტრაციის პრობლემა სრულად აღმოიფხვრება**
- **2024 წლისთვის დაგეგმილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სარწყავი წყლით უზრუნველყოფილი ფართობის 19 348 ჰექტრამდე ზრდა.**

ᲛᲔᲬᲐᲠᲛᲔᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ

მეწარმეობის განვითარება და, ზოგადად, სამეწარმეო სულისკვეთების გაძლიერება ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. ამ თვალსაზრისით, მოქმედებს რამდენიმე სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ორიენტირებულია მეწარმეობის ხელშეწყობაზე.

სახელმწიფო პროგრამით **„აწარმოე საქართველოში“,** მარნეულის მუნიციპალიტეტში, დაფინანსდა 2 საწარმო (ჯამურად 868 800 ლარი, დასაქმებულია 21 ადამიანი). **მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდამჭერი პროგრამით,** „აწარმოე საქართველოში“ მხარდაჭერით, 1 228 305 ლარის გრანტი გაიცა. განხორციელდა 1 522 711 ლარის ინვესტიცია. ჯამურად დაფინანსდა 139 პროექტი (არსებული ბიზნესის გაფართოება – 82, ხოლო ახალი „სტარტაპის“ მხარდასაჭერად – 57 პროექტი.

- **მომავალში გაგრძელდება და გაფართოვდება მეწარმეობის მხარდამჭერი პროექტების თუ სახელმწიფო პროგრამების განხორციელება;**
- **ხელი შეეწყობა ინოვაციური ეკოსისტემის განვითარებას;**
- **წარმოების გასაძლიერებლად გაგრძელდება ფინანსების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების სახელმწიფო პროგრამების დახვეწა და მათი ეფექტიანობის გაზრდა;**

ᲔᲜᲔᲠᲒᲔᲢᲘᲙᲐ

საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების გაძლიერება და ენერგოდამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლება. ჩვენი გუნდის ენერგეტიკული პოლიტიკის ძირითადი ამოცანა იმპორტირებულ ენერგორესურსებზე დამოკიდებულების ეტაპობრივ შემცირებასა და ადგილობრივი რესურსების ეფექტურ ათვისებას უკავშირდება.

ქვემო ქართლის რეგიონში, 2012-2021 წლებში, ექსპლოატაციაში შევიდა: 5 ჰიდროელექტროსადგური (პანტიანიჰესი, კაზრეთიჰესი, დებედაჰესი, მარნეულიჰესი, ორო ჰესი). სადგურების ჯამური დადგმული სიმძლავრე 9 მეგავატია, ჯამური საინვესტიციო მოცულობა 7 მლნ აშშ დოლარი. ასევე, ექსპლუატაციაში შევიდა 2 თბოელექტროსადგური („გარდაბნის თბოსადგური“, გარდაბნის თბოსადგური 2) ჯამური დადგმული სიმძლავრით 461 მეგავატი, ჯამური საინვესტიციო მოცულობა 410 მლნ აშშ დოლარი. **მშენებლობის ეტაპზეა** ხრამი ჰესი (1 მლნ აშშ დოლარი, დადგმ. სიმძლავრე – 1,13 მგვტ); ჯანდარა ჰესი (1,5 მლნ აშშ დოლარი, დადგმ. სიმძლავრე 0,25 მგვტ); დუმან მაშავერა-ჰესი – სავარაუდოდ 2 712 000 მლნ აშშ დოლარი; დადგმ. სიმძლავრე – 1,96 მგვტ). **ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ეტაპზეა** შემდეგი ენერგეტიკული პროექტები: ყიზილაჯლო ჰესი (5,6 მლნ აშშ დოლარი, დადგმ. სიმძლავრე – 4,10 მგვტ); მტკვარი კასკადი 4 (136 მლნ აშშ დოლარი; დადგმ. სიმძლავრე – 78,10 მგვტ); ხრამი ჰესი 3 (41 მლნ აშშ დოლარი; დადგმ. სიმძლავრე – 16,07 მგვტ); ხრამი ჰესი 4 (40 მლნ აშშ დოლარი; დადგმ. სიმძლავრე – 14,97 მგვტ); ხრამი ჰესი 5“ (50 მლნ აშშ დოლარი; დადგმ.სიმძლავრე – 19,89 მგვტ); ქვემო ოროზმან ჰესი (1,3 მლნ აშშ დოლარი, დადგმ. სიმძლავრე – 0,63 მგვტ); მაშავერა ჰესი 3 (8 მლნ აშშ დოლარი, დადგმ. სიმძლავრე – 4,20 მგვტ); მაშავერა ჰესი 2 (8 მლნ აშშ დოლარი, დადგმ. სიმძლავრე – 4,02 მგვტ); ზემო ყარაბულახი ჰესი (1 960 000 მლნ აშშ დოლარი, დადგმ. სიმძლავრე – 1,03 მგვტ); ნახიდური ჰესი (16 მლნ. აშშ დოლარი დადგმ.სიმძლავრე 9 მგვტ); ხრამი 7 ჰესი (10,5 მლნ აშშ დოლარი დადგმ. სიმძლავრე 3 მგვტ); **ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ეტაპზეა ქარის ელექტროსადგურების პროექტები:** „პირველი 1 ქარის ელ.სადგური“ (62 მლნ აშშ დოლარი; დადგმ. სიმძლავრე – 30,00 მგვტ); „სააკაძე ქარის ელსადგური“ (28 მლნ აშშ დოლარი; დადგმ. სიმძლავრე – 15,00 მგვტ); მარტყოფის ქარის ელსადგური (69 მლნ აშშ დოლარი; დადგმ. სიმძლავრე – 50 მგვტ); სამ-

მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ დამია გეურარხში თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი მესაქონლეობის ფერმა

გზა ეკომიგრანტრების დასახლებაში

გორის ქარის ელ.სადგური (4 მლნ აშშ დოლარი; დადგმ.სიმძლავრე – 8 მგვტ); „გარდაბნის ბიო-თბოელექტროსადგური“ (1,5 მლნ აშშ დოლარი; დადგმ. სიმძლავრე – 3,00 მგვტ).

მარნეულში, მხოლოდ 2013-2021 წლებში, **გაზიფიცირებულია** ჯამურად 11 324 აბონენტი (სულ ამ ეტაპზე 25 416 აბონენტი). 2013-2017 წლებში, 16 202 აბონენტს დაუმონტაჟდა **ინდივიდუალური მრიცხველი**, რითაც მოსახლეობის ელექტროენერგიით უზრუნველყოფის საკითხი სრულად მოწესრიგდა.

ტურიზმი

„ქართული ოცნების“ გონივრული პოლიტიკის შედეგად, ტურიზმის სფეროს განვითარების თვალსაზრისით, შთამბეჭდავი შედეგები იქნა მიღწეული. 2012 წლის შემდეგ, გაორმაგდა საერთაშორისო ვიზიტორთა და მოგზაურთა რაოდენობა და 4,7 მილიონიდან 2019 წელს (პანდემიამდე) 9,4 მილიონს გაუთანაბრდა.

ტურიზმის განვითარების მიზნით, განხორციელდა რეგიონის ტურისტული რესურსების სრული ინვენტარიზაცია, მიმდინარეობს ტურისტული მარშრუტების კვლევა. 2015 წლიდან დღემდე ჩატარდა ტრენინგები ადგილობრივ ტურისტულ ინდუსტრიაში დასაქმებული ან სამომავლოდ დასასაქმებელი პირებისათვის.

- **„ქართული ოცნების“ გუნდის გეგმის თანახმად, საშუალოვადიან პერიოდში, 2025 წლისთვის, ქვეყანას 10 მლნ მოგზაური ეწვევა, ხოლო ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი 4.2 მილიარდ დოლარს გაუთანაბრდება;**
- **2030 წლისთვის საქართველო 13 მილიონ მოგზაურს უმასპინძლებს, ხოლო შემოსავლები 6,5 მილიარდ დოლარს მიაღწევს;**
- **„ქართული ოცნების“ გუნდის გეგმის თანახმად, საშუალოვადიან პერიოდში, 2025 წლისთვის, ქვეყანას 10 მლნ მოგზაური ეწვევა, ხოლო ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი 4.2 მილიარდ დოლარს გაუთანაბრდება;**
- **2030 წლისთვის საქართველო 13 მილიონ მოგზაურს უმასპინძლებს, ხოლო შემოსავლები 6,5 მილიარდ დოლარს მიაღწევს.**

გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, გარემოსდაცვითი ღონისძიებების თვალსაზრისით არაერთი რეფორმა გატარდა. ქვეყნის მასშტაბით, თუ 2012 წელს დაცული ტერიტორიები 519 ათასი ჰექტარი იყო, დღეისათვის 798 ათასი ჰექტარია. 2012-2020 წლებში, შეიქმნა 26 ახალი და გაფართოვდა 3 დაცული ტერიტორია.

2013-2020 წლებში, მარნეულის მუნიციპალიტეტში, ადგილობრივი მოსახლეობისთვის ინდივიდუალური საყოფაცხოვრებო სარგებლობის მიზნით, გაცემულია 23 ათასი კუბური მეტრი **მერქნული რესურსი.** რეგულარულად ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული **ობიექტების ინსპექტირება** გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის შესწავლის, ასევე გამოვლენილი დარღვევების აღმოფხვრის მიზნით.

- **გაგრძელდება ატმოსფერული ჰაერის, ნიადაგის და წყლის ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების სისტემების გაფართოება;**
- **გაგრძელდება სტიქიური გეოლოგიური პროცესების ყოველწლიური მონიტორინგი, შეფასდება გეოლოგიური საფრთხის ქვეშ არსებული დასახლებები და ოჯახების (კომლი) საკარმიდამო ნაკვეთები, საცხოვრებელი სახლები და ინფრასტრუქტურული ობიექტები, გაიცემა რეკომენდაციები გასატარებელი დამცავი ღონისძიებების შესახებ;**
- **გაგრძელდება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის სისტემის გაძლიერება, დაგეგმილია ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა დარღვევათა პრევენციის, გამოვლენისა და აღკვეთის მიზნით („ცხელი წერტილების“ კონტროლი სამეთვალყურეო კამერებით, ახალი თაობის დრონებით და სხვა);**
- **გარემოსდაცვითი სტანდარტები თვისებრივად დაუახლოვდება ევროპულ მოთხოვნებს;**
- **ხელისუფლების გეგმის თანახმად, 2030 წლისთვის დაცული ტერიტორიების ფართობი 1 მლნ ჰექტარს გაუთანაბრდება.**

ინფრასტრუქტურა და საზოგადოებრივი მომსახურება

2022-2023 წლებში, მარნეულის მუნიციპალიტეტში, ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებრივი მომსახურების გაუმჯობესება-განვითარებაზე განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება.

2013-2020 წლებში, მარნეულში, **ადგილობრივი მნიშვნელობის გზების** რეაბილიტაცია-მშენებლობაზე, ადგილობრივი და ცენტრალური ბიუჯეტიდან ჯამურად, 39, 2 მლნ ლარამდე დაიხარჯა. აშენდა 1 და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 5 ხიდს. **სტიქიით** დაზიანებული ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციოდ სახელმწიფომ 826 ათასი ლარის კომპენსაცია გამოყო.

ხელისუფლების გეგმის თანახმად, მომდევნო (2021-2025) წლებში მარნეულის **ინტერნეტით უზრუნველყოფის** მიზნით, იგეგმება მაღალსიჩქარიანი ფართოზოლოვანი ქსელის მშენებლობა. შედეგად, მუნიციპალიტეტის 27 დასახლებულ პუნქტში მცხოვრებ 4 739 ოჯახს მაღალსიჩქარიან ინტერნეტზე წვდომა ექნება.

2014-2020 წლებში, მარნეულის **წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო ქსელის** განვითარება, მუნიციპალური და ცენტრალური ბიუჯეტიდან ჯამურად, 15,5 მლნ ლარზე მეტი დაიხარჯა.

2021-2022 წლებისთვის, მარნეულის მუნიციპალიტეტში, დაგეგმილია ან უკვე განხორციელების ფაზაშია შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:

- სოფ. სადახლოს სასმელი წყლის შიდაქსელის მოწყობა (I ეტაპი) – 648 377 ლ;
- სოფ. სადახლოს სასმელი წყლის შიდაქსელის მოწყობა (II ეტაპი) – 657 558 ლ;
- სოფ. კირაჩ-მუღანლოს სასმელი წყლის შიდაქსელის მოწყობა – 554 057 ლ;
- აღმამედლო–ულაშლო–კასუმლოს დამაკავშირებელი გზის მოასფალტება – 1 397 529 ლ;
- სოფ. ილმაზლოს მისასვლელი გზის მოასფალტება – 658 900 ლ;
- სოფ. კაჩაგანის შიდაგზების მოასფალტება – 258 182 ლ;
- სოფ. წერაქვში შიდაგზებზე არმირებული ბეტონის მოწყობა – 186 152 ლ;
- სოფ. სეითგოჯალოს მისასვლელი გზის რეაბილიტაცია – 680 253 ლ;
- სოფ. დამია-გეურარხის შიდაგზების რეაბილიტაცია – 692 301 ლ;
- სოფ, ალგეთის მევენახეობა შიდაგზების რეაბილიტაცია – 367 336 ლ;
- ხოჯორნის შიდაგზების რეაბილიტაცია – 397 480 ლ;
- ოფრეთის მისასვლელი გზის რეაბილიტაცია – 284 938 ლ;
- სოფ. ჩანახჩში, ენიქენდში, შულავერში, დიოკნისში, ბაითალოში, თაქალოსა და დაშტაფაში გარეგანათების მოწყობა – 107 712 ლ;
- ქ. მარნეულში წმ. გიორგის ტაძრამდე ბეტონის გზის მოწყობა – 252 410 ლ;
- სოფ.ალგეთში, თაზაქენდში, აზიზქენდში, გაჯისაქენდში, ქუთლიარში, ამბაროვკაში, ალგეთის ღვინის ქარხნის მეურნეობასა და ქეშალოში სასმელი წყლით მომარაგება – 2 543 537 ლ;
- მოლაოღლის შიდაგზის რეაბილიტაცია – 512 317 ლ;
- სოფ. დამიას შიდაგზის მოასფალტება – 581 252 ლ;
- ხულდარას შიდაგზის რეაბილიტაცია – 555 509 ლ;
- სოფ. დაშტაფის შიდაგზების მოასფალტება – 589 207 ლ;
- სოფ. გაჯისაქენდის მისასვლელი გზის მოასფალტება – 369 074 ლ;
- სოფ. აღმამედლოს შიდაგზის მოასფალტება – 380 041 ლ;
- ქ. მარნეული, იაღლუჯის დასახ. ეკოემიგრანტების შიდაგზების მოწყობა – 747 507 ლ;
- სოფ. შულავერის გზის მოასფალტება – 436 230 ლ;
- სოფ.ხუტორ-ლეჟბადინის მისასვლელი გზის მოასფალტება – 259 176 ლ;
- სოფ. იმირის შიდაგზების მოასფალტება – 444 246 ლ;
- სოფ. თაზაქენდის გზის მოასფალტება – 555 357 ლ;
- სოფ. ბურმას გზების მოასფალტება – 283 034 ლ;
- სოფ. ბეითარაფჩის სასმელი წყლის რეაბილიტაცია – 249 273 ლ;
- სოფ. ბურმაში ჭაბურღილის მოწყობა – 185 379 ლ;
- სოფ. სიონის სასმელი წყლის რეაბილიტაცია – 465 342 ლ;
- სოფ. შაუმიანის სასმელი წყლის რეაბილიტაცია – 1 644 432 ლ;
- სოფ. თამარისში ძიუდოს სპორტული დარბაზის მშენებლობა – 403 355 ლ;
- მარეთში ბიოგამწმენდი ნაგებობის მშენებლობა – 302 955 ლ;
- სოფ.შაუმიანის ამორტიზირებული ხიდის დემონტაჟი და ახალი სახიდე გადასასვლელის მოწყობა – 623 563 ლ;
- სოფ. ქუთლიარში არსებულ სკვერში, ორი ფანჩატურის მოწყობა – 13 909 ლ;
- სოფ. შაუმიანის სასმელი წყლის რეაბილიტაცია – 1 644 432 ლ;
- მარეთში ბიოგამწმენდი ნაგებობის მშენებლობა – 302 955 ლ;
- ქ. მარნეულში, ფიროსმანის ქ., ქობულეთის და რუსთაველის ქ. სანიაღვრე სისტემების მოწყობა – 197 953 ლ;
- სოფ. ცოფში, ხულდარაში, შულავერში და ქუთლიარში საჯარო სკოლებთან მისასვლელი გზების მოასფალტება – პროექტის ღირებულება 412 000 ლ.

სკვერი სოფელ საიმერლოში

კენან ომაროვი: „ჩვენ ერთად უნდა დავგეგმოთ მარნეულის ხვალინდელი დღე“

როცა ვკითხე, „ქართულმა ოცნებამ“ ნდობა რატომ გამოგიცხადათ და მარნეულის მერობის კანდიდატად რატომ დაგასახელათ-მეთქი, ეუხერხულა. ეს ალბათ თვითონ გუნდს უნდა ჰკითხოთ, საკუთარ თავზე ხომ არ ვილაპარაკებო. როცა კითხვა შევუბრუნე, მოკლედ მომიჭრა – ალბათ, გუნდმა დაინახა ჩემში ის, რაც მარნეულსა და ჩემს მარნეულელებს გამოადგებაო. სხვათა შორის, მერობისთვის ბრძოლა სწორედ ამ მიზნით გადაწყვიტა – საკუთარი ცოდნა და გამოცდილება საყვარელ მუნიციპალიტეტს მოახმაროს, მარნეულის ხვალინდელი დღე ადგილობრივებთან ერთად დაგეგმოს, მათსა და გუნდთან ერთად, მარნეულისთვის ბევრი სიკეთე გააკეთოს. თუმცა, გეგმების, მიზნების, განვლილი ცხოვრებისა და მარნეულში გატარებული ბედნიერი ბავშვობის შესახებ, მერობის კანდიდატი კენან ომაროვი თავად გვიამბობს.

– მარნეულში დავიბადე და გავიზარდე. მამა, ილგარ ომაროვი, პროფესიით ეკონომისტია. წლების განმავლობაში მარნეულის წისქვილკომბინატში სხვადასხვა პოზიციაზე მუშაობდა, მათ შორის, დირექტორის მოადგილეც იყო. დედა, გიულაია მამედოვა, პედაგოგია და საბირქენდის საჯარო სკოლაში ბიოლოგიას ასწავლის. სკოლა მარნეულში დავამთავრე. მშვიდი და მოსიყვარულე ბავშვი ვიყავი. ჩემ აღზრდაში განსაკუთრებული წვლილი დედამ და პაპა-ბებიებმა შეიტანეს. პირველი შვილი და დედის მხრიდან პირველი შვილიშვილი ვიყავი და საკმაოდ მანებივრებდნენ. სახლში მამის მშობლები იყვნენ და ძალიან მიყვარდა, როცა მათ შევუგორდებოდი საწოლში. მათგან განსაკუთრებულ სითბოს ვგრძნობდი. დედის მხრიდან ბებიასაც ერთი სული ჰქონდა მასთან როდის დავრჩებოდი. ისიც განსაკუთრებულად ზრუნავდა ჩემზე. მარნეულში ლაღი და ბედნიერი ბავშვობა მქონდა. ბავშვობის წლებს დღესაც სიამოვნებით ვიხსენებ.

– ბატონო კენან, თავის დროზე იურისტის პროფესიით რატომ დაინტერესდით?

- იურისტობა ბავშვობიდან მინდოდა. პროკურორობაზე ვოცნებობდი. სკოლის დასრულების შემდეგ შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის აკადემიაში ჩავაბარე, საიდანაც გაცვლითი პროგრამით გამგზავნეს აზერბაიჯანში. ბაქოს სახელმწიფო პოლიციის აკადემიის დასრულების შემდეგ საქართველოში დავბრუნდი და ქუთაისში, ჟვანიას ადმინისტრირების სკოლაში ჩავაბარე. სახელმწიფო ენას სკოლაშიც კარგად ვსწავლობდი, მაგრამ ამ სასწავლებელში, ქართული ენა გაძლიერებულად ვისწავლე. სხვათა შორის, ამ სკოლის პირველი ჯგუფის კურსდამთავრებული ვარ.

– აზერბაიჯანში დარჩენის საშუალება გქონდათ. საქართველოში დაბრუნების გადაწყვეტილება რატომ მიიღეთ?

– იმიტომ, რომ საქართველო ჩემი სამშობლოა. სხვაგან ცხოვრებაზე არასდროს მიფიქრია. დარწმუნებული ვარ, ვერც ვიცხოვრებ. ცოდნა მივიღე და დავბრუნდი, რათა ჩემს ქვეყანას, ჩემს მუნიციპალიტეტს გამოვდგომოდი. სამართალმცოდნე გახლავართ და იურისტად მუშაობა 2006 წელს დავიწყე მარნეულის საგანმანათლებლო რესურსცენტრში. ყოველთვის ვცდილობ, კვალიფიკაცია მუდმივად ავიმაღლო ტრენინგებსა თუ კონფერენციებში მონაწილეობით. 2011-2012 წლებში განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში გადავედი, იურისტად. შემდეგ კი, ისევ რესურსცენტრში მომიწია დაბრუნება, სადაც ჯერ სხვადასხვა პოზიცია მეკავა, მოგვიანებით კი, ცენტრის დირექტორის მოვალეობასაც ვასრულებდი.

– რესურსცენტრის ხელმძღვანელობა საპასუხისმგებლო საქმეა. რა შეიცვალა ცენტრში ამ თანამდებობაზე თქვენი ყოფნის დროს და რა ინიციატივებით ამაყობთ?

– დიახ, ეს ნამდვილად საპასუხისმგებლო პოზიცია იყო. რესურსცენტრს 5 წლის განმავლობაში ვხელმძღვანელობდი. ამ პერიოდში მუნიციპალიტეტის სკოლები ადგილობრივი ახალგაზრდა პროფესიონალი კადრებით შეივსო. ჩემი ინიციატივით, ცენტრი მჭიდროდ თანამშრომლობდა „მასწავლებლის სახლსა“ და ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლასთან. ხდებოდა პედაგოგების ინტენსიური გადამზადება როგორც პროფესიული, ისე სახელმწიფო ენის შესწავლის მიმართულებით. რესურსცენტრი, კომპეტენციის ფარგლებში, აქტიურად იყო ჩართული მუნიციპალიტეტში სხვადასხვა საგანმანათლებლო ღონისძიებებში. უშუალოდ, ჩემი ჩართულობით, მარნეულის მუნიციპალიტეტში დაიგეგმა და ხორციელდება საგანმანათლებლო დაწესებულებების მშენებლობა/რეაბილიტაცია. კერძოდ, მარნეულის მუნიციპალიტეტში, მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით, 8 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა მიმდინარეობს. მათ შორის, სკოლა შენდება სოფელ ცოფში, სადაც ეთნიკური სომხები და აზერბაიჯანელები ერთად ცხოვრობენ. ასევე, 3 სკოლის სრული რეაბილიტაცია განხორციელდება. ჩემი ინიციატივით, სხვადასხვა სოფლის არაქართულენოვან სკოლებში ქართული სექტორები გაიხსნა.

– ასეთივე აქტიური მერის მოადგილე იყავით? ზოგადად, პოლიტიკურად რატომ გააქტიურდით?

– როცა მერის მოადგილეობა შემომთავაზეს, ბევრი არც მიფიქრია, დავთანხმდი. ამის მიზეზი შემოთავაზების ავტორი იყო – „ქართულ ოცნებასთან“ იდეოლოგიური თანხვედრა მაქვს. ერთი პრინციპები გვაქვს. ეს გუნდი ყოველთვის ზრუნავს მოსახლეობასა და ქვეყნის განვითარებაზე. მინდა, ამ კეთილ საქმეში მეც შევიტანო წვლილი. მერის მოადგილის მოვალეობას 6 თვე ვასრულებდი. ვფიქრობ, ამ მოკლე დროში საკმაოდ ვიაქტიურე. გამოვყოფ ჩემს ინიციატივას მუნიციპალიტეტში ახალგაზრდული საბჭოს შექმნის თაობაზე.

– რა ფუნქცია აქვს ამ საბჭოს და რატომაა ის მნიშვნელოვანი?

– ეს არის საბჭო, რომელიც ახალგაზრდების გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ჩასართავად მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ბაზაზე, ახალგაზრდობის სააგენტოს მხარდაჭერით, საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებასთან ერთად შეიქმნა. „ახალგაზრდული საბჭო“ მონაწილეობას მიიღებს ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. მისი ძირითადი ფუნქციები ახალგაზრდული პოლიტიკის შემუშავება, მონიტორინგი, შეფასება და მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო დაგეგმვის პროცესში მონაწილეობაა. ასევე, საბჭო მუშაობს ახალგაზრდების ინფორმირებაზე დაგეგმილი ღონისძიებებისა თუ აქტივობების შესახებ და ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლების მიმართულებით სოციალური, ეკოლოგიის და ადამიანის უფლებების თაობაზე.

– უკვე ჩამოთვალეთ სფეროები რომელთა განვითარებაც ხელისუფლებისთვის პრიორიტეტია. „ქართული ოცნება“ რეგიონების განვითარებაზეც ზრუნავს?

– რა თქმა უნდა... რეგიონული განვითარება ხელისუფლების პრიორიტეტია. ამაზე თუნდაც მხოლოდ მარნეულში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტებიც მეტყველებს, რომლებიც პანდემიის მიუხედავად არ შეჩერებულა.

– ამ პროექტებიდან რომელია განსაკუთრებული მნიშვნელობის?

– მუნიციპალიტეტში ხორციელდება გზების, სასმელი წყლის, სკოლების, სკოლამდელი დაწესებულებების, გარეგანათებების, სკვერების, რეკრეაციული სივრცეების მოწყობის მასშტაბური პროექტები. მაგალითად: სოფელ ხოჯორნაში აქტიურად მიმდინარეობს წყალმომარაგების ინფრასტრუქტურული პროექტი, რომლითაც სასმელი წყლის 5-კილომეტრიანი ცენტრალური მაგისტრალის მილის შეცვლაა გათვალისწინებული. შედეგად, სასმელი წყლით უზრუნველყოფილი იქნება სოფელ ხოჯორნის 920 მოსახლე. ახლახან დასრულდა სოფელ ხოჯორნამდე მისასვლელი გზის მშენებლობა. მარნეულში, ეკომიგრანტებისთვის ახლადაშენებულ სოფლის ტიპის დასახლებაში, შიდაგზების მოწყობითი სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს. 31 სახლი იმ დევნილი ოჯახებისთვის აშენდა, რომლებიც მრავალი წელი მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ამორტიზებულ შენობაში ცხოვრობდნენ. მალე დასრულდე-

დაიბადა 1983 წლის 26 ივლისს, მარნეულის მუნიციპალიტეტში. დაამთავრა მარნეულის №8 საჯარო სკოლა. 2000-2005 წლებში სწავლობდა აზერბაიჯანის რესპუბლიკის პოლიციის აკადემიაში. სპეციალობით იურისტია, აქვს უმაღლესი კვალიფიკაცია. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, 2006 წელს, სწავლა გააგრძელა ქუთაისის ზურაბ ჟვანიას სახელობის ადმინისტრირების სკოლაში.

2006-2011წლებში მუშაობდა მარნეულის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურს ცენტრში, იურისტის პოზიციაზე, 2011-2012 წლებში – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში იურისტად. 2013 წელს დაბრუნდა მარნეულის საგანმანათლებლო რესურსცენტრში და 2016 წლამდე მუშაობდა სხვადასხვა პოზიციაზე, ხოლო 2016-2021 წლებში ხელმძღვანელობდა მას.

2021 წლიდან დღემდე მარნეულის მუნიციპალიტეტი მერის მოვალეობას ასრულებს. ფლობს აზერბაიჯანულ, ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებს.

ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

ბა სოფელ ზემო და ქვემო ყულარის წყალმომარაგების პროექტი, რომლის დამთავრების შემდეგ, ხარისხიანი წყალმომარაგებით ისარგებლებს 2 სოფლის მოსახლეობა. შაუმიანის ადმინისტრაციულ ერთეულში, სასმელი წყლის ქსელების მოწყობის მასშტაბური პროექტი ხორციელდება, რომლის დასრულების შემდგომ, ხარისხიანი სასმელი წყლით 1007 ოჯახი მომარაგდება. მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფლებში: კირაჩ-მუღანლოში, დოლისყანის დასახლებაში, იმირჭალაში, დამიასა და ხიხანში იწყება შიდაგზების რეაბილიტაციის პროცესი. 10 სოფელში იგეგმება და მიმდინარეობს მინი კომბინირებული სტადიონების მშენებლობა. ქალაქ მარნეულში კი, ასეთი სტადიონის რეაბილიტაცია უკვე განხორციელდა. ხოლო სოფელ აზიზქენდში მოეწყო ახალი ხელოვნურსაფარიანი კომბინირებული მინი სპორტული მოედანი. სოფელ თამარისში დასრულდა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სპორტული კომპლექსის მშენებლობა. ზოგადად, მარნეულის მუნიციპალიტეტში საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით, მასშტაბური სამუშაოები ჩატარდა. ქალაქსა და სოფლებში მიმდინარეობს საბავშვო ბაღების მშენებლობის პროცესი. ყველა პროექტის ჩამოთვლა ნამდვილად შორს წაგვიყვანს. ეს ყველაფერი, მუდმივად მოქალაქეზე ორიენტირებული ჩვენი გუნდის მუხლჩაუხრელი შრომის შედეგია.

– მაგრამ ალბათ, მარნეულში არაერთი გამოწვევა დღემდე რჩება. რა სჭირდება დღეს მარნეულის მოსახლეობას და თქვენ რა გეგმები გაქვთ მუნიციპალიტეტთან დაკავშირებით?

– მარნეულს სჭირდება განვითარების სწორი ხედვა, შუამავალი ცენტრალურ ხელისუფლებასთან და როგორც არსებული გამოწვევების, ისე მათი გადაჭრის გზების მცოდნე ადამიანი. დარწმუნებული ვარ, რომ მარნეულელები სწორ არჩევანს გააკეთებენ და მანდობენ ქალაქის მართვას, რაც იმის გარანტია იქნება, რომ ყველა მიმდინარე პროექტი სრულყოფილად დასრულდება და კიდევ უფრო მასშტაბურ პროექტებს განვახორციელებთ. ჩემი მიზანია, საჯარო სამსახურში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება მოვახმარო თითოეული მარნეულელის კეთილდღეობაზე ზრუნვას. ჩვენ ერთად უნდა დავგეგმოთ მარნეულის ხვალინდელი დღე. მიყვარს ყველა მარნეულელი და მზად ვარ ვემსახურო მათ. მარნეული ჩემი მშობლიური მუნიციპალიტეტია, აქ დავიბადე გავიზარდე, განათლების მიღებისა და სამუშაო გამოცდილების დაგროვების შემდეგ კი, დღემდე ამ ქალაქს და ქალაქში მცხოვრებ მშრომელ და პატრიოტ ხალხს ვემსახურები. მარნეული ცნობილია მშრომელი ხალხით, ამიტომაც ქართული ეკონომიკისთვის მნიშვნელოვანია, სადაც სხვადასხვა ეთნოსისა და რელიგიის მქონე ადამიანები ერთმანეთს პატივს სცემენ, მშვიდობიანად თანაცხოვრობენ და საქმიანობენ. ამითაა მარნეული უნიკალური. ასევე, მარნეული ერთ-ერთი მძლავრი ეკონომიკური მუნიციპალიტეტია, რომელიც ქმნის ქვეყნის დოვლათს. ჩვენთან არის სხვადასხვა საწარმო, სადაც მოსახლეობაა დასაქმებული. და რაც მთავარია, ვართ აგრარული მუნიციპალიტეტი. ჩვენი პრიორიტეტი სოფლის მეურნეობის მხარდაჭერაა და ჩემი აზრით ამ მიმართულებით უნდა გავაძლიეროთ ხელშეწყობა. ასევე მნიშვნელოვანია კერძო სექტორის მხარდაჭერა. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა ტურისტული სექტორი. ამაყი ვარ, რომ ჩვენთან, მარნეულში არის უნიკალური ადგილი, სადაც კანადის, ტორონტოს უნივერსიტეტის არქეოლოგებმა, ჩვენს ქართველ არქეოლოგებთან ერთად, აღმოაჩინეს ღვინის ჭურჭელი და წიპწა, რომელიც ყველაზე ძველია დედამიწაზე. ეს იმას ადასტურებს და უკვე მეცნიერულად დამტკიცებულია, რომ საქართველო, კერძოდ კი მარნეული, არის ადგილი, სადაც ადამიანმა პირველად მოაშინაურა ველური ვაზი და დაწურა ყურძენი. ღვინოც ხომ ქართული სიტყვიდან გავრცელდა. ასევე, საინტერესო იქნება როგორც ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებისთვის ისე უცხოელებისთვის ეთნოტურიზმი. ჩვენ ხომ უნიკალური მუნიციპალიტეტი გვაქვს. ასე რომ, ჩემი მერობის პერიოდში მაქსიმალურად შევეცდები ხელი ტურისტული პოტენციალის განვითარებასაც შევუწყო.

– ამ სფეროს განვითარება, გარკვეულწილად, პანდემიამ შეაფერხა. რა ახალი რეალობის წინაშე დააყენა მარნეული კოვიდმა და როგორ შეაფასებთ პანდემიის მართვას?

– მიუხედავად იმის, რომ მარნეული იყო პირველი მუნიციპალიტეტი, რომელიც ჩაიკეტა პანდემიის დროს, ადგილობრივმა ხელისუფლებამ, ექიმებმა ყველაფერი გააკეთეს, რომ ნაკლები დანაკარგი გვქონოდა და მასშტაბური გავრცელება არ მომხდარიყო. მაშინ რესურსცენტრის უფროსი ვიყავი და სკოლებში საჭიროებისამებრ წერტილოვანი შეზღუდვები დავაწესეთ. ჩემი ხელმძღვანელობით შეიქმნა მონიტორინგის ჯგუფი და ვაკონტროლებდით თითოეულ სოფელს, სკოლას. დღეს თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მარნეულში სტატისტიკურად, ინიფიცირებსა და ვირუსის გავრცელების ერთ-ერთი ყველაზე ნაკლები მაჩვენებელია.

– ენის ბარიერი თუა დღემდე პრობლემა და ამ მიმართულებით, რა ნაბიჯებია გადასადგმელი?

– მარნეულელ ახალგაზრდებში ფაქტობრივად ენის ბარიერი აღმოფხვრილია. სკოლებში კარგად ისწავლება ქართული ენა და უმთავრესად ჩვენი სკოლადამთავრებული ახალგაზრდები აბარებენ ქართულ უნივერსიტეტებში. მოქმედებს 1+4 პროგრამა, რაც ასევე ხელშემწყობია სახელმწიფო ენის გაღრმავებაში. პრობლემები, მხოლოდ უფროს თაობას აქვს. მაქსიმალურად ვცდილობთ ისინი ინფორმირებულები იყვნენ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე. ასევე გვაქვს სახელმწიფო პროგრამები – სურვილის მიხედვით ნებისმიერს შეუძლია ისწავლოს ქართული. ჟვანიას სკოლა აქტიურად არის ჩართული პროცესებში, რისთვისაც მადლობელი ვარ. ასევე მოხალისე მასწავლებლები, რომლებიც არამხოლოდ სკოლაში ასწავლიან, არამედ თემში მჭიდროდ თანამშრომლობენ სხვადასხვა ასაკის ადგილობრივებთან.

– როგორ არჩევნებს ელით და დარწმუნებული ხართ, რომ მარნეულის მოსახლეობა მხარს თქვენ დაგიჭერთ?

– არჩევნები იქნება მშვიდი და აქტიური და დასრულდება ჩვენი ღირსეული გამარჯვებით. მოქალაქეებმა იციან, რომ ჩემი სახით ირჩევენ იმ გუნდის წარმომადგენელს, რომელმაც ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან რეგიონების განვითარებაზე ზრუნვა ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტად დაისახა. სწორედ ამიტომ, მჯერა ჩვენი მხარდამჭერებისა და მარნეულელების თანადგომის. ჩვენ აუცილებლად გავიმარჯვებთ! მარნეული გაიმარჯვებს! და მე ჩავდგები თითოეული მოქალაქის სამსახურში. მინდა, რაც შეიძლება მეტმა ახალგაზრდამ მიიღოს მარნეულის შენების პროცესში მონაწილეობა. ჩემი კარი ყველასთვის ღია იქნება. მერია იქნება ისეთი ღია და გამჭვირვალე, როგორიც არასდროს ყოფილა. ვაცნობიერებ ყოველი წამის ფასს, რომელიც ადამიანებზე ზრუნვაში შეიძლება დაიხარჯოს. ეს ჩემთვის დიდი პატივია და მზად ვარ, ჩემ მშობლიურ მუნიციპალიტეტს ღირსეულად ვემსახურო. ჩვენ ერთად უნდა დავგეგმოთ მარნეულის ხვალინდელი დღე!

კენან ომაროვის ბავშვობის სიყვარული და არაჩვეულებრივი შვილები

მათი სიყვარულის ისტორია ბავშვობიდან იწყება. მომავალი მეუღლე, სამირა ბალაქიშიევა ადრეულ ასაკში გაიცნო, თინეიჯერობის ასაკში კი უკვე ზუსტად იცოდა, რომ ბედს სწორედ მას დაუკავშირებდა. ოჯახი უმაღლესი სასწავლებლების დასრულების შემდეგ შექმნეს. ქალბატონი სამირა პროფესიით ექიმი, მეან-გინეკოლოგია და მარნეულში, კლინიკაში მუშაობს.

ამბობს, რომ მისი ოჯახის სიმტკიცის საიდუმლო წლების განმავლობაში გამოცდილი და განმტკიცებული სიყვარულია. ბედნიერ წყვილს 3 შვილი ჰყავს. კანდიდატის შეფასებით, 14 წლის ილგარი, 13 წლის ელიფი და 3 წლის ომარი არაჩვეულებრივი ბავშვები არიან. ილგარს კომპიუტერული ტექნოლოგიები აინტერესებს, ელიფს მასწავლებლობა უნდა. პატარა ომარს კი აშკარად სპორტული მონაცემები აქვს და არაა გამორიცხული, სპორტსმენი გახდეს.

თავისუფალ დროს ბავშვებთან ერთად ქალაქგარეთ გასვლა უყვარს. ბუნებაში პიკნიკისას ერთმანეთს მოსაზრებებს უზიარებენ. ზოგჯერ მიუდგომელ ადგილებსაც „ლაშქრავენ“, რადგან ასეთი ადგილების აღმოჩენა, მისი ჰობია. ოჯახის ექიმი დიასახლისი, ქმარ-შვილს მუდმივად ახსენებს რამდენად მნიშვნელოვანია ადამიანის ჯანმრთელობისთვის ცხოვრების ჯანსაღი წესი. ისინიც მის რჩევას ითვალისწინებენ და „ემორჩილებიან“.

ადამიანები, რომლებიც კენან ომაროვს იცნობენ ამბობენ, რომ იგი საქმეზე ორიენტირებული, მიზანდასახული და მეგობრულია. ასე ახასიათებენ ოჯახის წევრებიც. ისინი, ვინც ყოველთვის გვერდით უდგანან და მხარს უჭერენ. პატივს სცემენ მის გადაწყვეტილებასაც, იბრძოლოს მარნეულის მერობისთვის. იციან, მშობლიური მუნიციპალიტეტისთვის ბევრ სიკეთეს გააკეთებს. იციან ისიც, რომ მარნეულის წინსვლა და განვითარება მისთვის მნიშვნელოვანია – აქ დაიბადა და გაიზარდა, ბედნიერი აქაა და ცხოვრების ყველაზე ლაღი პერიოდი, ბავშვობაც აქ გაატარა თავის ერთადერთ დასთან, ნურანასთან ერთად. სხვათა შორის, ქალბატონი ნურანა, რომელიც მეუღლესთან და სამ შვილთან ერთად ბაქოში ცხოვრობს, საქართველოში იმისთვის ჩამოვიდა, ცხოვრების მნიშვნელოვან ეტაპზე ძმას გვერდით დაუდგეს, წინასაარჩევნო პერიოდში უგულშემატკივროს და არჩევნებში გამარჯვებაც მასთან ერთად იზეიმოს.

ჯანმრთელობის დაცვა

„ქართული ოცნებისთვის“ უმთავრესი ღირებულება არის ადამიანი, ხოლო საქმიანობის უმნიშვნელოვანესი პრინციპი – ადამიანზე, მის ღირსებაზე, სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე ზრუნვა. ხარისხიანი და საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, სოციალური სამართლიანობის პრინციპზე დაფუძნებული ჯანმრთელობის დაცვის სისტემის შენარჩუნება და შემდგომი განვითარება „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია.

2012 წლის შემდეგ უპრეცედენტოდ, 4,5-ჯერ გაიზარდა ჯანდაცვის დაფინანსება. 2013 წელს **საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის** ამოქმედებით, „ქართულმა ოცნებამ“ საფუძველი ჩაუყარა ჯანდაცვის ხარისხიან სერვისებზე უნივერსალურ ხელმისაწვდომობას. 2017 წლიდან განისაზღვრა ბენეფიციარების შემოსავლების მიხედვით დიფერენციაციის ახალი კრიტერიუმები. შედეგად, 40%-დან 99.9%-მდე გაიზარდა მოსახლეობის სერვისებით მოცვა, დაფინანსდა 8,6 მლნ-ზე მეტი შემთხვევა (2,8 მლნ ბენეფიციარი), რაზეც 4,6 მლრდ ლარზე მეტი გამოიყო. 2013-2020 წლებში, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, მარნეულის მუნიციპალიტეტზე გამოყოფილი 103 349 467 ლარით დაფინანსდა 154 853 შემთხვევა. მათ შორის: **გეგმური ამბულატორიული** (10 206 702,5 ლარით 759 286 ბენეფიციარი), **გადაუდებელი ამბულატორიული** (5 670 207 ლარით 68 771 მეტი შემთხვევა), **გადაუდებელი სტაციონარული** (68 529 948 ლარით 50 030 შემთხვევა), **გეგმური ქირურგიული** (13 900 726 ლარით 13 988 შემთხვევა), **მშობიარობა და საკეისრო კვეთა** (7 035 634 ლარით, 12 429 შემთხვევა) და **ქიმიო, ჰორმონო და სხივური თერაპია** (4 069 375 ლარით 7 789 შემთხვევა). გაიზარდა ონკოლოგიური პაციენტების ქიმიოთერაპია/სხივური თერაპიის კომპონენტში არსებული ლიმიტი 8 000 ლარის ოდენობით.

ქრონიკული დაავადების მქონე მოწყვლადი ჯგუფებისთვის მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის პროგრამა ამოქმედდა სოციალურად დაუცველი პირების (სარეიტინგო ქულა 100 ათასამდე), საპენსიო ასაკის მოქალაქეებისა და შშმ ბავშვებისთვის, ვეტერანებისა და გამყოფი ხაზის სოფლების მოსახლეობისთვის. 2017-2021 წლებში (ივლისის მდგომ.). პროგრამით, 2017-2021 წ.წ., მარნეულის მუნიციპალიტეტში, დაფინანსდა 1839 ბენეფიციარი (125 492 ლარი).

2012 წლის შემდეგ, 3,4-ჯერ – 29,0 მილიონიდან 100,7 მილიონ ლარამდე გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან **საზოგადოებრივი ჯანდაცვის დაფინანსება,** მათ შორის, უპრეცედენტოდ, 7-ჯერ გაიზარდა **იმუნიზაციის პროგრამის ბიუჯეტი** (24.1 მლნ ლარი შეადგინა). სახელმწიფო უზრუნველყოფს 13 დაავადების პრევენციას, წარმატებით დაინერგა 5 ახალი ვაქცინა. იმუნიზაციით მიზნობრივი ჯგუფის მოცვის მაჩვენებელი მარნეულის მუნიციპალიტეტში 90.6%-ია. **ტუბერკულოზის ეროვნული პროგრამით** განხორციელებული ღონისძიებების შედეგად,. უკანასკნელ წლებში შემცირდა ტუბერკულოზის გავრცელება – 2013 წლის შემდეგ, **მარნეულში,** სტაციონარული მკურნალობით 318-მა (1371904 ლარი), ამბულატორიული მომსახურებით – 3 280-მა პაციენტმა (420 516 ლარი) ისარგებლა. **დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სფეროში** ხელისუფლების მხრიდან გატარებული თანმიმდევრული პოლიტიკის შედეგად, 2017 წელს დაფიქსირდა დედათა სიკვდილობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი, წინა წლებთან შედარებით (13.1/100 000 ცოცხალშობილზე). 2018 წლიდან 8-მდე გაიზარდა ვიზიტების რაოდენობა ორსულთათვის. 2014 წლიდან ყველა ორსული უზრუნველყოფილია ფოლიუმის მჟავითა და რკინის პრეპარატით. 2013-2020 წლებში, მარნეულში, ანტენატალური სერვისი მიიღო 16 613-მა ორსულმა (907 956 ლ), მედიკამენტები – 3 057-მა.

2015 წლიდან საქართველოში, მსოფლიოში პირველად, დაიწყო **C ჰეპატიტის ელიმინაციის (აღმოფხვრის) პროგრამა** (21,7 მლნ ლარი). პროგრამა მოიცავს საქართველოს მოქალაქეებისათვის უფასო სკრინინგს, დაავადების დიაგნოსტიკასა და კომპანია „გილეადის“ დაფინანსებით C ჰეპატიტით დაავადებული პაციენტების უფასო მკურნალობას უახლესი თაობის ძვირადღირებული მედიკამენტებით. პროგრამის დაწყებიდან 2021 წლის 1 მაისამდე, გამოკვლეულია 2,3 მლნ ბენეფიციარი, მკურნალობაში ჩაერთო 74 ათასზე მეტი და დაასრულა 70 ათასზე მეტმა პირმა, მიღწეულია უპრეცედენტო შედეგი – სრულად განიკურნა დაავადებულთა 98,9%, გადარჩა 68 ათასი ადამიანის სიცოცხლე. საქართველო C-ჰეპატიტთან ბრძოლაში გლობალურ ლიდერადაა აღიარებული. **მარნეულის მუნიციპალიტეტიდან** მკურნალობასა და სადიაგნოსტიკო კვლევებში ჩართული იყო 1 101 პირი (218 017 ლ).

2012 წლის შემდეგ, დმანისის მოსახლეობისათვის მნიშვნელოვნად გაიზარდა სამედიცინო მომსახურების **დაფინანსება პრიორიტეტულ სფეროებში** (ფსიქიკური ჯანმრთელობა, დიაბეტის მართვა, დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაცია, პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარება, რეფერალური მომსახურების პროგრამები).

2013 წლიდან ხორციელდება პირველადი ჯანდაცვის განახლებული ქსელის მოწყობა. პირველადი ჯანდაცვისა და სოფლის ექიმის როლის გაძლიერების მიზნით, 2014 წლიდან სახელმწიფოს სრული კომპეტენცია გახდა **„სოფლის ექიმის“ პროგრამის** მართვა. 2014 წლის მაისიდან 30%-ით გაიზარდა **სოფლის ექიმებისა და ექთნების ხელფასი;** 2019 წელს „სოფლის ექიმის“ სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე სოფლის ექიმები/ექთნები გადავიდნენ სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის მართვაში, სახელმწიფო აფინანსებს მათი საქმიანობისათვის აუცილებელ ხარჯებს. მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირად დარეგისტრირების შემთხვევაში, სოფლის ექიმები/ექთნები თავისუფლდებიან საშემოსავლო გადასახადისგან. **მარნეულის მუნიციპალიტეტს 88 სოფლის ექიმი და ექთანი ემსახურება.**

ინფრასტრუქტურული პროექტები

2014-2020 წლებში, მარნეულის მუნიციპალიტეტში, განხორციელდა შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები: ამბულატორიების რეაბილიტაცია სოფელებში დამია-გეურარხი (22 786 ლ), წერაქვი (16 387 ლ), ხოჯორნა (21 754 ლ), წერეთელი (31 209 ლ), კაპანახჩი (27 963 ლ). გადაუდებელი სასწრაფო სამედიცინო ცენტრების მშენებლობა ქუთლიარში (144 400 ლ), სადახლოში (141 268 ლ), შაუმიანში (130 300 ლ).

ვანი, ზესტაფონი, თერჯოლა, **მარნეული**, ქ. ქუთაისი, ქარელი, წყალტუბო – იძულებით გადაადგილებული პირების უზრუნველყოფა საცხოვრებელი პირობებით მათი არსებული შენობების და დასახლებების გაუმჯობესების მიზნით არსებული შენობის რეაბილიტაცია (335 ბინა) – 11 940 101 ლარი.

2020 წელს, 2013 წელთან შედარებით, გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსება – გაზრდილია ჯანმრთელობის დაცვის ხარჯები და არაფინანსური აქტივები 106,8 ათასიდან 2 778 ათას ლარამდე.

მუნიციპალიტეტის მიერ ხორციელდება 0-დან 120000–მდე სარეიტინგო ქულით შეფასებული ბენეფიციარების მკურნალობა და მედიკამენტებით დახმარება, მკვეთრად, მნიშვნელოვნად და ზომიერად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს, ოპერაციის ან/ და რეაბილიტაციის ან/და გამოკვლევის ან/და მკურნალობის ან/და მედიკამენტების შეძენის დაფინანსება, ონკოლოგიური ან/და ლეიკემიით დაავადებულ ბენეფიციარების დაავადების საჭიროებიდან გამომდინარე, გამოკვლევის ან/და მკურნალობის ან/და ოპერაციის ან/და მედიკამენტების შეძენის მიზნით დახმარება, გულის ოპერაციის დაფინანსება/თანადაფინანსება და სხვ.

ხარისხიანი და ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურების უზრუნველსაყოფად:

- გაიზრდება მოსახლეობის ხელმისაწვდომობა ჯანმრთელობის დაცვის ხარისხიან სერვისებზე და სამკურნალო საშუალებებზე;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სფეროში დასაქმებული პერსონალის შრომის ანაზღაურება და უწყვეტ განათლებაზე ხელმისაწვდომობა;
- საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, კვლავ უზრუნველყოფილი იქნება სამედიცინო სერვისების ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა, მიზნობრივი ჯგუფები უზრუნველყოფილნი იქნებიან შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით და სამკურნალო მედიკამენტებით;
- განხორციელდება ეფექტიანი სახელმწიფო პროგრამები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და პრიორიტეტულ სფეროებში მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მისაწოდებლად;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- განხორციელდება ჯანდაცვის სფეროს უმთავრესი პრიორიტეტის – პირველადი ჯანდაცვის სისტემის რეფორმის მომდევნო ეტაპი. გაიზრდება სისტემის „მეკარიბჭის“ ფუნქცია – უზრუნველყოფილი იქნება მოსახლეობის ავადობის ადრეული გამოვლენა და შეკავება;
- გაიზრდება სოფლის ექიმისა და ოჯახის ექიმის როლი და მნიშვნელობა;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური პროგრამები.

სოციალური დაცვა

2012 წლის შემდეგ, ეტაპობრივად გაიზარდა სახელმწიფო პენსიის ოდენობები: 2012 წლისათვის საპენსიო ასაკის პირთა პენსია 100 ლარი იყო, 2020 წლის იანვრიდან 2,2-ჯერ მეტი – 220 ლარი, **70 წლის და მეტი ასაკის მოქალაქეთა პენსია** – 250 ლარი; 2021 წლიდან პენსიის ოდენობა 240 ლარით განისაზღვრა, 70 წელს გადაცილებულთა კი – 275 ლარით. 2016 წლიდან განისაზღვრა პენსიის დანამატი **მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეებისათვის**, რაც შეადგენს ასაკით პენსიის ოდენობის 20%-ს (264 ლარის ნაცვლად 288 ლარი, ხოლო მთაში მცხოვრები 70 წლის და მეტი ასაკის პენსიონერი – 330 ლარი). დანამატს იღებენ მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები სოციალური პაკეტის მიმღები პირები (დანამატი – სოციალური პაკეტის 20%). 2017 წლის იანვრიდან გათვალისწინებულია მაღალმთიანი აბონენტის (საყოფაცხოვრებო მომხმარებლის) მიერ მაღალმთიან დასახლებაში მოხმარებული ელენერგიის ყოველთვიური საფასურის 50%-ის ანაზღაურება (არა უმეტეს 100 კვტ/სთ). **მარნეულის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო პენსიის მიმღები** (01.04.2021 წ. მდგომ.) 16 957 პირია. 2012 წლის შემდეგ, პენსიების ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯი თითქმის 3-ჯერ – 15 673 807-დან 45 010 254 ლარამდე გაიზარდა. 2013-201 წლებში, ასაკით პენსიონერთა საპენსიო ანაზღაურებაზე სულ 259 621 764 ლარი დაიხარჯა. 2013 წლიდან დაზუსტდა **სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული სამსახურის** გავლის, აგრეთვე ამ პირთა მიერ შესაბამისი ასაკის მიღწევის, **შესაძლებლობის შეზღუდვის** და **გარდაცვალების გამო** გასაცემი კომპენსაციის ოდენობა. მარნეულში, კომპენსაციის მიმღებია (01.04.2021 წ. მდგომ.) 290 პირი. 2012 წლის შემდეგ, კომპენსაციებზე გაწეული ხარჯი თითქმის 3-ჯერ - 387 158 ლარიდან 1 108 483 ლარამდე გაიზარდა. 2013-2021 წლებში, სულ გაცემულია 7 723 879 ლარი.

მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარების პროგრამის ფარგლებში, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული, სიღარიბის ზღვარსქვევით მყოფი ოჯახები უზრუნველყოფილნი არიან მიზნობრივი სოციალური დახმარებით – საარსებო შემწეობით. პროგრამით ასევე გაიცემა: ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ახალშობილის შვილადაყვანის გამო დახმარების, ლტოლვილთა და დევნილთათვის შემწეობების, შრომითი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურება და სხვ. შემწეობები. **მარნეულის მუნიციპალიტეტში,** სოციალური დახმარებით უზრუნველყოფილი **სიღარიბის ზღვარსქვემოთ მყოფი** 3129 ოჯახია (1.04.2021 წ. მდგომ). 2012 წლის შემდეგ, საარსებო შემწეობებზე გაწეული ხარჯი 5,7-ჯერ – 1 373 ათასიდან 7870 ათას ლარამდე გაიზარდა. 2013-2021 წ.წ. სულ დაიხარჯა 38 870 ათასი, მათ შორის პენსიონერებზე – 6 726 ათასი, შშმ პირებზე – 1 923 ათასი, ბავშვებზე – 17 860 ათასი ლარი. **შშმ პირები, მარჩენალდაკარგულები და სხვა სოციალურ კატეგორიებს მიკუთვნებულ პირთა წრე** ყოველთვიურად უზრუნველყოფილია სოციალური პაკეტით – მარნეულში სოციალური პაკეტით სარგებლობს 3382 მიზნობრივი ჯგუფი (01.04.2021 წ. მდგომ.), 2012 წლის შემდეგ, გაწეული ხარჯი 7-ჯერ – 875 458-დან 6 129 188 ლარამდე გაიზარდა. 2013-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 38 487 418 ლარი. **დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის პროგრამით** (მესამე და მომდევნო ბავშვი) **მარნეულში** დაფინანსებულია 143 ბენეფიციარი (1.04,2021 წ. მდგომ.), 2016-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 184 400 ლარი, მათ შორის, 2020 წელს – 42 600 ლარი.

მარნეულის მუნიციპალიტეტში 1025 დევნილია (01.04.2021 წ. მდგომ.), 2012 წლის შემდეგ, დევნილთა შემწეობა 312 004 ლარიდან 571 815 ლარამდე გაიზარდა, 2013-2021 წ.წ. სულ დახარჯულია 4 545 676 ლარი. **დევნილებზე** ზრუნვა, მათი განსახლება და სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. 2013 წლიდან, განსახლების კრიტერიუმების შესაბამისად, დევნილებს ახალაშენებულ კორპუსებში ბინები და სოფლად სახლები გადაეცემათ. 2013 წლიდან (2021 წლის ივლისის მონაცემებით), საქართველოს მასშტაბით, განსახლების პროგრამებით, საცხოვრებელი ფართი 23 068-მდე დევნილ ოჯახს გადაეცა, მათგან **მარნეულის მუნიციპალიტეტში** დაკმაყოფილდა 169 ოჯახი, მათ შორის: 105 დევნილ ოჯახს გადაეცა ბინა **ახალაშენებულ და რეაბილიტირებულ** კორპუსებში, **პროექტით „სოფლად სახლი“** სახელმწიფომ სახლი 14 დევნილ ოჯახს შეუსყიდა; სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ფართი 121 დევნილ ოჯახს დაუკანონდა. **საქართველოს მასშტაბით, მიმდინარე წლის ბოლომდე, დამატებით 1 359 დევნილი ოჯახი განსახლდება, მათ შორის 11 – მარნეულის მუნიციპალიტეტში.** გრძელვადიანი საცხოვრებლით სახელმწიფომ, საქართველოს მასშტაბით, 1997 **ეკომიგრანტი ოჯახი** დააკმაყოფილა: 2013-2021 წ.წ. 667 ოჯახს დაუკანონდა საცხოვრებლი ფართი და მიწის ნაკვეთი, 386 დაკანონების პროცესშია.

ახალი კორონავირუსის გლობალურ გამოწვევასთან სწრაფად და ეფექტიანად გამკლავების მიზნით, სოციალური დაცვის მიმართულებით გატარდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები, კერძოდ: სახელმწიფო გასაცემლების უწყვეტად გაცემა, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის იურიდიული ძალის შენარჩუნება და სოციალური პაკეტის უწყვეტად გაგრძელება, იანვრიდან შეჩერებული საარსებო შემწეობების განახლება და საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახებისთვის ფულადი დახმარების გაცემის უწყვეტობის უზრუნველყოფა და სხვ. **ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, მოსახლეობის სოციალური დახმარების მიზნით,** 2020-2021 წ.წ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო 193 014 865 ლარი, აქედან მარნეულის მუნიციპალიტეტზე გამოყოფილია 3 503 240 ლარი. **სახელმწიფო დახმარების მიღების უფლება 6 თვის ვადით მოიპოვეს:** სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულმა (65001-100000 ქულა) ოჯახებმა, წევრთა რაოდენობის შესაბამისად (1-წევრიანი – 70 ლ; 2-წევრიანი – 90 ლ; 3 და მეტი წევრი, თითოეულზე – 35 ლ). პროგრამაში, 2020 წელს, მარნეულში ჩართული იყო – 971 ოჯახი, 2021 წელს – 1 223. **ყოველთვიური დახმარება** (თვეში 100 ლარი) განისაზღვრა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული 100 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებისთვისაც, რომელთაც ჰყავთ 3 ან მეტი 16 წლის ჩათვლით ასაკის შვილი. პროგრამით, მუნიციპალიტეტში, 2020 წელს ისარგებლა 615-მა ოჯახმა, 2021 წ. (ივნისის მონაცემებით) – 682-მა. **მკვეთრად გამოხატული შშმ პირებისა და 18 წლამდე შშმ ბავშვებისთვის,** სოციალური პაკეტით დახმარებასთან ერთად, დამატებით გამოიყო 100 ლარი (6 თვით), პროგრამით, მარნეულში, ისარგებლა 2020 წ. 1067-მა პირმა, 2021 წ. (ივნისის მდგომ) – 1 106-მა პირმა.

„ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შედეგად მიყენებული ზიანის შემსუბუქების მიზნობრივი, სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 მაისის №286 დადგენილების თანახმად, სსიპ დასაქმების სახელწიფო სააგენტო განისაზღვრა პროგრამის ერთ-ერთ განმახორციელებლ უწყებად. სააგენტოს დაევალა კომპენსაციების გაცემა იმ დასაქმებულ/თვითდასაქმებულთათვის, ვინც პანდემიის შედეგად სამსახური ან შემოსავალი დაკარგა. **დაქირავებით დასაქმებულებისთვის კომპენსაციის ოდენობა თვეში 200 ლარი 6 თვით,** გაიცა ორ ეტაპად: I ეტაპი – 2020 წლის მაისიდან დაიწყო და 162 271-მა პირმა მიიღო 131 237 800 ლარი; II ეტაპი -2021 წლის იანვრიდან 157 638-მა პირმა მიიღო 141 947 400 ლარი. არაფორმალური თვითდასაქმებულების იდენტიფიცირებისა და მათთის ერთჯერადი კომპენსაციების გაცემის მიზნით, შეიქმნა უწყებათაშორისი კომისია, ხოლო სააგენტომ შეასრულა კომისიის სამუშაო ჯგუფის ფუნქციები. **ერთჯერადი 300-ლარიანი კომპენსაცია** მიიღო 248 867 ფორმალურმა და არაფორმალურმა თვითდასაქმებულმა, ჯამში გადაირიცხა 74 660 000 ლარი. 2020 წლის 4 დეკემბრიდან დაიწყო ერთჯერადი, 300-ლარიანი კომპენსაციების გაცემის მეორე ტალღა იმ პირებისთვის, ვისაც შეეხო შეზღუდვები, დაკარგეს შემოსავალი ან შეუჩერდათ ეკონომიკური საქმიანობა – 121 634 პირზე ჯამში გადაირიცხა 36 490 200 ლარი.

2013 წელთან შედარებით, გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება. 2020 წელს სოციალური დაცვის ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 2 368,9 ათასი ლარი შეადგინა, 2013 წლის შესაბამისი მაჩვენებელი კი 584,0 ათასი ლარი იყო.

მუნიციპალიტეტის მიერ ხორციელდება არაერთი მნიშვნელოვანი პროგრამა, მათ შორის: ომისა და სამხედრო ძალების შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ვეტერანების დახმარება; ახალშობილის დაბადებასთან დაკავშირებით დახმარება; 0-დან 100 000-მდე სოციალური სარეიტინგო ქულით შეფასებულ არასრულწლოვანი შვილის მარტოხელა მშობლის დახმარება; 0-დან 120 000-მდე სოციალური სარეიტინგო ქულით შეფასებულ ოჯახების დახმარება (იძულებით გადაადგილებულ პირის დევნილ ოჯახს და ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანის ოჯახს, რომელსაც ჰყავს 4 და მეტი რაოდენობის არასრულწლოვანი შვილი); არასრულწლოვანი ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ან/და ასევე ონკოლოგიურად დაავადებულ ბენეფიციარების დახმარება; მხედველობა შეზღუდული ან/და სმენა დაქვეითებულ ბენეფიციარების ყოველთვიური დახმარება, სწავლის დაფინანასება (სოციალურად დაუცველი ოჯახების სტუდენტები ორი და მეტი სტუდენტის შემთხვევაში, სოციალურად დაუცველი დედით ან/და მამით ობოლი სტუდენტები, დედით და მამით ობოლი სტუდენტები, დევნილი სტუდენტები, ვეტერანების შვილები) და სხვ.

სამართლიანი, გამჭვირვალე და ეფექტიანი სოციალური დაცვის სისტემის ფუნქციონირების, სიღატაკის დაძლევისა და სიღარიბის შემცირების, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესებისა და დასაქმების უზრუნველყოფის მიზნით:

- შეიქმნება მდგრადი, ეფექტიანი, კოორდინირებული სოციალური დაცვის სისტემის საკანონმდებლო გარანტიები;
- გაუმჯობესდება სოციალური დაცვის მექანიზმები, ყოველი მოქალაქის სხვადასხვა სოციალური რისკებისაგან დაცვის მიზნით;
- გაუმჯობესდება დასაქმებისა და სოციალური გასაცემლების სისტემა;
- გაიზრდება სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების ხარისხი და ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად;
- მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი ოჯახები კვლავ უზრუნველყოფილი იქნებიან საარსებო შემწეობით;
- გაგრძელდება მიზნობრივი ჯგუფებისათვის სოციალური პაკეტის გაცემა;
- გაგრძელდება დემოგრაფიული მდგომარეობის ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება;
- გაიზრდება სოციალური დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება სოციალური სფეროს მუნიციპალური პროგრამები.

ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ

**ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲔᲡᲘ ᲞᲠᲘᲝᲠᲘᲢᲔᲢᲘᲐ. 2012 ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲐ ᲤᲣᲜᲓᲐᲛᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲣᲠᲘ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲘᲡᲐᲬᲕᲓᲝᲛᲝᲑᲘᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲐᲓ. ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲛᲓᲒᲠᲐᲓᲝᲑᲘᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲛᲧᲝᲤᲘ ᲡᲐᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝ �გᲐᲠᲐᲜᲢᲘᲔᲑᲘ, ᲓᲐᲘᲮᲕᲔᲬᲐ ᲐᲓᲠᲔᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲙᲝᲚᲐᲛᲓᲔᲚᲘ ᲐᲦᲖᲠᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲛᲐᲠᲔᲒᲣᲚᲘᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝᲑᲐ, ᲓᲐᲓᲒᲘᲜᲓᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲘᲜᲔᲠ�გᲐ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲔᲑᲘ.

განათლებისა და მეცნიერების სფეროში გადადგმული თითოეული ნაბიჯი გრძელვადიან პერსპექტივაზეა გათვლილი. ამის დასტურია ის, რომ **2012 წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად, 2,5-ჯერ გაიზარდა განათლებისა და მეცნიერების დაფინანსება. 4-ჯერ გაიზარდა სკოლამდელი განათლების, თითქმის 2-ჯერ – ზოგადი განათლების, 5,3-ჯერ – პროფესიული განათლების და 2-ჯერ – უმაღლესი განათლების ბიუჯეტი. მასწავლებლის საბაზო ხელფასის ზრდამ – 65%, ხოლო საშუალო ხელფასის – 120%-შეადგინა. 600 000-მდე მოსწავლე უზრუნველყოფილია სასკოლო სახელმძღვანელოებით.** 2019 წლის 1 ოქტომბრიდან დაიწყო საჯარო სკოლებისა და საბავშვო ბაღების პედაგოგთა ხელფასების ზრდა და ეს პროცესი მომდევნო წლებშიც გაგრძელდება.

2013-2020 წლებში, საქართველოში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა **მშენებლობა-რეაბლიტაციისა და აღჭურვის** მიზნით 427 მლნ 789,3 ათასი ლარი დაიხარჯა. მათ შორის, 2017-2020 წლებში – 289 მლნ 137,8 ათასი ლარი.

2012-2020 წ.წ. დასრულებულია 68 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, ამ ეტაპზე მიმდინარეობს 4 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, დასრულებულია 140-მდე სკოლის **სრული რეაბილიტაცია**, მათ შორის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა“ და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სრულად რეაბილიტირდა 91 საჯარო სკოლა, ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 1300-ზე მეტ საჯარო სკოლის შენობას.

2017-2020 წლებში დასრულებულია 42 საჯარო სკოლის (მათ შორის, 19 მცირეკონტინგენტიანი საჯარო სკოლა) სამშენებლო სამუშაოები და მიმდინარეობს 4 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, ამასთან, მიმდინარე წელს იგეგმება დამატებით 2 ახალი სკოლის მშენებლობის დაწყება. დასრულებულია 83 სკოლის სრული რეაბილიტაცია, მათ შორის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა“ და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სრულად რეაბილიტირდა 41 საჯარო სკოლა, ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 500-ზე მეტ საჯარო სკოლის შენობას;

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსებით, საჯარო სკოლებში ფუნქციონირებს **608 სამედიცინო** კაბინეტი (სკოლის ექიმი). საჯარო სკოლებში დასაქმებულია **145 ფსიქოლოგი**.

„ქართულმა ოცნებამ“ ფუნდამენტური ცვლილებები განახორციელა **პროფესიული განათლების** სისტემის განსავითარებლად. 2013 წლიდან დღემდე პროფესიული განათლების განვითარებისთვის სახელმწიფომ, ჯამში, 300 მილიონ ლარზე მეტი გამოყო, მათ შორის, პროფესიული კოლეჯების მშენებლობა/რეაბილიტაცია/აღჭურვის მიზნით დაიხარჯა 100 მლნ ლარზე მეტი. დაფუძნდა 8 ახალი პროფესიული დაწესებულება და არსებულ ქსელს დაემატა 16 ახალი ლოკაცია. ყველა სახელმწიფო კოლეჯს ჩაუტარდა სრული ან ნაწილობრივი რეაბილიტაცია, აშენდა 2 ახალი საერთო საცხოვრებელი. 10-ზე მეტ პროფესიულ დაწესებულებას ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია, მათგან 4 კოლეჯში რეაბილიტაცია განხორციელდა უნივერსალური დიზაინის ნორვეგიული სტანდარტის შესაბამისად. 14 პროფესიულ დაწესებულებაში მოეწყო ინოვაციური ლაბორატორიები (FABLAB). 2021 წელს საკვალიფიკაციო ან/და მომზადება/გადამზადების პროგრამებზე სტუდენტს/მსმენელებს პირველად მიიღებენ ახლად განვითარებული კოლეჯები/ფილიალები კასპში, მარნეულში, დუშეთში, ჩოხატაურში (გორაბერეჟოული), ქედაში, ფოთსა და შუახევში. მიმდინარეობს დამატებით 5 პროფესიული დაწესებულების/ფილიალის სამშენებლო სამუშაოები, რომლებიც სამშენებლო და სატრანსპორტო მიმართულებებით საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის კადრებს მოამზადებენ. 2018 წელს დამტკიცდა ახალი კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“, რომელმაც შესაძლებელი გახადა ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან კიდევ უფრო მეტად დაახლოება. რეფორმის ფარგლებში, გაიზარდა ვაუჩერული დაფინანსება; ჩამოყალიბდა პროფესიული განათლების მართვის ახალი მოდელი, რომელიც კიდევ უფრო გააძლიერებს კერძო სექტორის ჩართულობას პროფესიულ განათლებაში; დაინერგა ინტეგრირებული პროგრამები, რომელთა გავლის შემდეგ საბაზო (9 კლასი) განათლების მქონე პირი სრული ზოგადი განათლების ატესტატთან გათანაბრებულ დიპლომს მიიღებს; შეიქმნა ზრდასრულთა მომზადება-გადამზადების შესაძლებლობა, რაც დააკმაყოფილებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს; გაძლიერდა ინკლუზიური პროფესიული განათლება და სხვ.

2012 წლის შემდეგ, 2,1-ჯერ, გაიზარდა **უმაღლესი განათლების** დაფინანსება. **უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და სტუდენტთა მხარდაჭერის მიზნით:** სახელმწიფო სასწავლო და სამაგისტრო გრანტებით ყოველწლიურად სრულად/ნაწილობრივ ფინანსდება 30 000-მდე სტუდენტი; გაიზარდა სოციალური პროგრამებისა და მაღალი აკადემიური მიღწევების მქონე სტუდენტთა მხარდაჭერის (სტიპენდიების) პროგრამის დაფინანსება; სოციალური პროგრამებით, ყოველწლიურად, ფინანსდებიან სტუდენტები უმაღლესი განათლების I-II საფეხურებზე (წლიური ბიუჯეტი 2 მლნ 725 ათასი ლარი); დაფინანსება გამოეყოფათ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლას აგრძელებენ ერთიანი ეროვნული/სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (წლიური ბიუჯეტი – 285 ათასი ლარი); სახელმწიფო აგრძელებს გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული სტუდენტების სწავლის დაფინანსებას (პროგრამის ბიუჯეტი – 5 მლნ ლარი); გაიცემა სახელმწიფო სტიპენდიები წარმატებული სტუდენტებისთვის (პროგრამის ბიუჯეტი – 4,7 მლნ ლარი); დაფინანსებას მოიპოვებენ სტუდენტები, რომლებიც ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების საფუძველზე სწავლას აგრძელებენ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში (პროგრამის ბიუჯეტი – 20 ათასი ლარი); ყოველწლიურად ფინანსდება და, 2014-2019 წლებში, 800-ზე მეტი სასწავლო სტიპენდია გაიცა წარმატებული ახალგაზრდების მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში სწავლისათვის. 2016 წლიდან ამოქმედდა და სახელმწიფოს მიერ სრულად ფინანსდება მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიანი პროგრამები. 2019 წლიდან ამოქმედდა სკოლის შემდგომი განათლებისათვის მომზადების პროგრამა. პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებით, დადგენილი წესის შესაბამისად, სარგებლობენ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირები, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე ირიცხებიან საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სახელმწიფო აფინანსებს მათი სწავლის საფასურს. 2019 წლიდან მსჯავრდადებულებს, რომლებიც წარმატებით ჩააბარებენ ერთიან ეროვნულ/სამაგისტრო გამოცდებს, შესაძლებლობა აქვთ ისწავლონ შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებზე.

2012 წლის შემდეგ, 80%-ით გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტით **მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების** ხელშეწყობის დაფინანსება. 2015 წლიდან სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების დაფინანსება 2-ჯერ, ხოლო მეცნიერთა ხელფასები, საშუალოდ, 3-ჯერ გაიზარდა. სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტებისათვის ამოქმედდა პროგრამული დაფინანსების მექანიზმი და სადღეისოდ ფინანსდება 47 კვლევითი ინსტიტუცია.

ᲡᲙᲝᲚᲐᲛᲓᲔᲚᲘ ᲐᲦᲖᲠᲓᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი საკუთარი უფლებამოსილება და პრიორიტეტია. მარნეულში ფუნქციონირებს 14 მუნიციპალური საბავშვო ბაღი (3 – ქ. მარნეულში, 11– სოფლად).

2013 წლის შემდეგ საქართველოს მასშტაბით საბავშვო ბაღები გახდა უფასო. მნიშვნელოვნად გაიზარდა მარნეულში ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების **დაფინანსება:** 2020 წელს მუნიციპალიტეტის განათლების სფეროს ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდა 3496,9 ათასი ლარით განისაზღვრა, 2013 წელს კი შესაბამისი მაჩვენებელი 520 ათასი ლარი იყო.

2014-2016 წლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები: 2014 წელს კაპიტალურად გარემონტდა 10 საბავშვო ბაღის შენობა. იმავე წელს ახალი საბავშვო ბაღი გაიხსნა სოფელ ხიხანში. გარემონტდა შაუმიანის, შაუმიანის დევნილთა დასახლების, შულავერის, წერეთლის, საიმერლოს, თამარისის, ყიზილაჯლოსა და ქ. მარნეულის №1 და №4 საბავშვო ბაღები. სოფელ კაპანახჩში დასრულდა საბავშვო ბაღის მშენებლობის სამუშაოები; **2015 წელს** განხორციელდა წერეთლის, შულავერის, შაუმიანის დევნილთა დასახლების, ყიზილაჯლოს, თამარისის, კაპანახჩისა და ქ. მარნეულის №4 ბაგა-ბაღების რეაბილიტაცია; **2015-2016 წლებში,** ქ. მარნეულში, 26 მაისის ქუჩაზე, განხორციელდა №3 ბაგა-ბაღის რეაბილიტაცია (807,8 ათასი ლარი); **2017 წელს** აშენდა სოფელ ალგეთის საბავშვო ბაღი (631 ათასი ლარი); **2017-2018 წლებში** – სოფელ სადახლოს საბავშვო ბაღი (648,5 ათასი ლარი). **2018-2019 წლებში** სოფელ საიმერლოს საბავშვო ბაღი (587 ათასი ლარი). **2020 წელს** სარემონტო სამუშაოები ჩატარდა ქ. მარნეულის №4 და შაუმიანის საბავშვო ბაღებში; **2021 წელს მიმდინარეობს** ქ. მარნეულის №1 საბავშვო ბაღის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები, საქტო დარბაზისა და ორი ჯგუფისთვის განკუთვნილი ფლიგელის მიშენება – 1,1 მლნ ლარი. სოფელ ყიზილაჯლოს საბავშვო ბაგა-ბაღის რეაბილიტაცია (769,8 ათასი ლარი);

შესრულებული სამუშაოების შედეგად, 2021 წელს, 2013 წელთან შედარებით, საბავშვო ბაღებში **აღსაზრდელთა რაოდენობა** 1 225-დან 2 200-მდე გაიზარდა. ასევე **260 ლარამდე** გაიზარდა **კვების** თანხა თითოეულ აღსაზრდელზე, სრულფასოვანი გახდა ბავშვეთა კვების რაციონი. **სასკოლო მზაობის პროგრამა** დანერგილია 9 ლოკაციაზე **16** ჯგუფში, სადაც სულ 480 ბავშვია. საბავშვო ბაღებში **დასაქმებულია 69** აღმზრდელ-პედაგოგი. ყველა საბავშვო ბაღს 14 ექიმი/ექთანი და 1 ფსიქოლოგი ემსახურება.

ᲖᲝ�გᲐᲓᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ

მუნიციპალიტეტში 74 საჯარო და 2 კერძო სკოლაა (ქალაქში -9 საჯარო და 2 კერძო, სოფლად – 61, მათ შორის, მთის სტატუსის მქონე დასახლებებში – 5), სადაც 18 895 მოსწავლე, 2177 მასწავლებელია (51 სპეციმასწავლებელი). მულტიდისციპლინური გუნდის მიერ, 2020 წლის მაისის მდგომარეობით, იდენტიფიცირებულია 147 სსსმ მოსწავლე. 31 სკოლაში 72 მანდატურია. 6 საჯარო სკოლაში ფუნქციონირებს ექიმის კაბინეტი (5 ექიმი). არაქართულენოვან საჯაროს სკოლებში ქართულის, როგორც მეორე ენის, 303 კონსულტანტ-მასწავლებელია დასაქმებული.

ზოგადი განათლების სფეროში განათლების და მეცნიერების სამინისტრომ, მარნეულის მუნიციპალიტეტში, განახორციელა სხვადასხვა პროგრამა, მათ შორის: 2017-2020 წლებში, **სასწავლო აქტივობების ხელშეწყობის** პროგრამით, საჯარო სკოლებში 61 პროექტი განხორციელდა, დაფინანსდა 121 აქტივობა. 2019 წელს, **ზოგადი განათლების რეფორმის ხელშეწყობის პროგრამით,** 2 საჯარო სკოლას 40 ლეპტოპი გადაეცა, ხოლო **ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით უზრუნველყოფის პროგრამით**, 2017-2019 წლებში, 11 საჯარო სკოლას – 123 კომპიუტერი. 2018-2019 წლებში, მარნეულის საჯარო სკოლების **ოპტიკური კავშირითა და მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით** აღჭურვის 96, ხოლო **რადიოტექნოლოგიითა და გაუმჯობესებული კავშირის სიჩქარით** უზრუნველყოფის 58 პროექტი განხორციელდა. 2016-2019 წლებში, **უსადენო ქსელით** 3 სკოლა აღიჭურვა. 2016-2019 წლებში, მარნეულში, **მატერიალურ-ტექნიკური ბაზით,** სასკოლო ავეჯით, სპორტული ინვენტარითა და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებით აღჭურვის 76 პროექტი განხორციელდა. **მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის** პროგრამით 12 საჯარო სკოლის (17 მიმართულება) 2322 მოსწავლე სარგებლობს. 2017-2020 წლებში, საჯარო სკოლებს, ჯამში, 3700 **სასკოლო ჟურნალი და** 258 435 **სახელმძღვანელო უსასყიდლოდ გადაეცა.** 2013-2019 წლებში, პირველკლასელებს 11 393 კომპიუტერი გადაეცათ, 644 – კლასის დამრიგებლებს, ხოლო 59 – წარჩინებულ მოსწავლეებს. ამავე პერიოდში, მარნეულის სკოლებში, ჯამში, 56 **ოქროსა და ვერცხლისმედალოსანი** გამოვლინდა. **მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიზნობრივი** პროგრამებით კონსულტანტ-მასწავლებლებმა, ადგილობრივმა და უცხოელმა მასწავლებლებმა გაიარეს ტრენინგმოდულები.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამით, 2013-2018 წლებში, მარნეულის მუნიციპალიტეტში, საჯარო სკოლების ნაწილობრივი რეაბილიტაციის 49 პროექტი განხორციელდა. ადაპტირებულია 39 საჯარო სკოლა; ცენტრალური გათბობის სისტემით აღჭურვილია – 29. ოპერირებისა და მოვლა-პატრონობის პროგრამაში (MCC – ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის დაფინანსებით) 5 საჯარო სკოლაა ჩართული.

2013 წელს განხორციელდა 8 სკოლის ნაწილობრივი რეაბილიტაცია, რაზეც სულ 422,5 ათასი ლარი დაიხარჯა; **2014 წელს –** 5 სკოლის ნაწილობრივი რეაბილიტაცია სულ 244,2 ათასი ლარით დაფინანსდა; **2015 წელს –** რეაბილიტაცია ჩაუტარდა 18 საჯარო სკოლას, მათგან 3 სკოლაში მოეწყო სამედიცინო ოთახი, რაზეც სულ 1 მილიონ 566,1 ათასი ლარი დაიხარჯა; აშენდა სოფ. ახალი დიოკნისის ახალი საჯარო სკოლა (2 მილიონ 30 ათასი ლარი); **2016 წელს** ნაწილობრივი რეაბილიტაცია ჩაუტარდა 5 საჯარო სკოლას, მათ შორის 1 სკოლაში სამედიცინო ოთახი მოეწყო (118,3 ათასი ლარი). **2017-2018 წლებში –** განხორციელდა საჯარო სკოლების რეაბილიტაციის 13 პროექტი, მათ შორის, სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა 4 საჯარო სკოლას; **MCC – ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის დაფინანსებით, განხორციელდა:** ქ. მარნეულის №5 (516,6 ათასი აშშ დოლარი), სოფ. კაჩაგანის №1 (479,3 ათასი აშშ დოლარი), წერეთლის (360,8 ათასი ლარი აშშ დოლარი), თაზაკენდის №1 (420,8 ათასი აშშ დოლარი), ქესალოს (380,2 ათასი აშშ დოლარი) საჯარო სკოლების სრული რეაბილიტაცია. **2018 წელს –** რეაბილიტირდა ქ. მარნეულის №7 სკოლის გათბობის სისტემა (19,2 ათასი ლარი). **მიმდინარეობს** ბუნებრივი აირის მონტაჟი სოფელ თაზაკენდის (21,6 ათასი ლარი), ქესალოსა (16,7 ათასი ლარი) და კაჩაგანის (23,1 ათასი ლარი) საჯარო სკოლებში. **2018-2019 წლებში –** აშენდა ქ. მარნეულის №1 საჯარო სკოლის ახალი შენობა (1 მლნ 514,8 ათასი ლარი); სოფ. წერეთლის სკოლაში დამონტაჟდა გაზი (10, 6 ათასი ლარი). **2019 წელს –** განხორციელდა მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების ნაწილობრივი რეაბილიტაციის 24 პროექტი (ჯამში, 1 მლნ 602,4 ათასი ლარი). **2020 წელს** დასრულდა: ქ. მარნეულის №6 სკოლის შემოღობვა (40,1 ათასი ლარი), №3 საჯარო სკოლის ფეხბურთისა და კალათბურთის კომბინირებული მინიმოედნის მოწყობა (76,4 ათასი ლარი), სოფ. ყიზილაჯლოს №1 სკოლაში შშმ პირთათვის ადაპტირებული სველი წერტილებისა და პანდუსის მოწყობა (17,8 ათასი ლარი).

მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით, 2020 წელს დაიწყო და ნაწილობრივ დასრულებულია: ცოფის, შულავერის, კასუმლოს, ხულდარის, ქუთლიარისა, ჩანახჩისა და ჯანდარის საჯარო სკოლების მშენებლობა, ჯამურად, 27 მლნ ლარი. მუნიციპალიტეტის სოფლების 8 საჯარო სკოლაში მოეწყო სველი წერტილები (210 ათასი ლარი); **2020 წელს დასრულდა –** სოფ. კასუმლოს, ერთი ხელშეკრულების ფარგლებში Design-Build მეთოდით, 450 მოსწავლეზე გათვლილი, საჯარო სკოლის პროექტირება/მშენებლობა (6,168,774.36 ლარი); შულავერის, ერთი ხელშეკრულების ფარგლებში, Design-Build მეთოდით, 450 მოსწავლეზე გათვლილი, საჯარო სკოლის პროექტირება/მშენებლობა (6 389 087.73 ლარი); ჯანდარის, ერთი ხელშეკრულების ფარგლებში, Design-Build მეთოდით, 300 მოსწავლეზე გათვლილი, საჯარო სკოლის პროექტირება/მშენებლობა (3 882 200 ლარი); კურტლიარის, ერთი ხელშეკრულების ფარგლებში, Design-Build მეთოდით, 300 მოსწავლეზე გათვლილი, საჯარო სკოლის პროექტირება/მშენებლობა (3 860 780 ლარი); **ამჟამად მიმდინარეობს:** სოფ. ხულდარის, ერთი ხელშეკრულების ფარგლებში, Design-Build მეთოდით, 240 მოსწავლეზე გათვლილი, საჯარო სკოლის პროექტირება/მშენებლობა (3 მლნ 391,2 ათასი ლარი); ჩანახჩის, ერთი ხელშეკრულების ფარგლებში, Design-Build მეთოდით, 60 მოსწავლეზე გათვლილი, საჯარო სკოლის პროექტირება/მშენებლობა (1 მლნ 160 ათასი ლარი); ცოფში, 150 ბავშვზე გათვლილი, საჯარო სკოლის პროექტირება/მშენებლობა (2 მლნ 395,9 ათასი ლარი); კაპანახჩის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია (2,9 მლნ ლარი); სოფელ ყულარის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია (1,7 მლნ ლარი); საბირკენდის, ერთი ხელშეკრულების ფარგლებში, Design-Build მეთოდით, 450 მოსწავლეზე გათვლილი, №1 საჯარო სკოლის პროექტირება/მშენებლობა (6,2 მლნ ლარი).

ᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ

2019 წელს დაიწყო და 2021 წელს დასრულდა, ქ. მარნეულში, 150 სტუდენტზე გათვლილი პროფესიული კოლეჯის მშენებლობა.

ქ. რუსთავში მდებარე სსიპ კოლეჯ „მოდუსის“ ფილიალი მარნეულისა და მისი მეზობელი მუნიციპალიტეტების საჭიროებების გათვალისწინებით, ძირითადად, სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო და მომზადება-გადამზადების პროგრამებს განახორციელებს. პროექტი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერითა და ადგილობრივი თვითმმართველობის აქტიური ჩართულობით განხორციელდა. თანამედროვე სტანდარტების შენობა სრულად ადაპტირებულია, აქვს კომფორტული სასწავლო სივრცეები, თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, საკონფერენციო დარბაზი და ღია სტადიონი.

2021 წლის მიღების ფარგლებში, კოლეჯის „მოდუსი“ მარნეულის ფილიალი დაინტერესებულ პირებს სთავაზობს შემდეგ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს: ელექტროობა, ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა, მებოსტნეობა, ბუღალტრული აღრიცხვა. ასევე პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების 13 პროგრამა ხელმისაწვდომია 4 დაწესებულებაში. სკოლის მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარების მიზნით, 2017-2019 წლებში, მარნეულის საჯარო სკოლების ბაზაზე განხორციელდა 15 კურსი.

ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ

უმაღლესი განათლების ხელშეწყობის მიზნით, 2018 წლიდან სოციალური პროგრამის ფარგლებში დაფინანსება მოიცავს ქვემო ქართლის რეგიონის (ბოლნისი, გარდაბანი, დმანისი, თეთრიწყარო, მარნეული და წალკა) მაღალმთიანი სტატუსის მქონე სოფლების სკოლის კურსდამთვრებულებს, 2018-2019 სასწავლო წელს ქვემო ქართლის რეგიონიდან დაფინანსდა 27 სტუდენტი, 2019-2020 სასწავლო წელს – 27 სტუდენტი, 2020-2021 სასწავლო წელს 27 სტუდენტი.

„ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲔᲡᲘ ᲞᲠᲘᲝᲠᲘᲢᲔᲢᲔᲑᲘᲡ – ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲔᲑᲐ:

- საჯარო დაწესებულებებში ადრეული და სკოლამდელი განათლება დარჩება უფასო; გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაფინანსება;
- გაგრძელდება სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდრატების დანერგვა და ყველასათვის ხელმისაწვდომი სკოლამდელი განათლების მომსახურების მიწოდება. საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფილი იქნება აღსაზრდელთა ტრანსპორტით მომსახურება;
- განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ეროვნული უმცირესობების სკოლამდელ დაწესებულებებში სახელმწიფო სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობას ბილინგვური განათლების მიდგომის გამოყენებით, რაც საშუალებას მისცემს ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელ ყველა ბავშვს შეისწავლოს მშობლიური და სახელმწიფო ენები სრულფასოვნად, ასევე, განივითაროს ყველა ის უნარი, რომელიც საჭიროა თანამედროვე საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრირებისთვის.
- **გაგრძელდება საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაცია, მათ შორის,** დაგეგმილია ქ. მარნეულის №1 საბავშვო ბაღის კაპიტალური რემონტი და შენობაზე სააქტო დარბაზისა და ორი ჯგუფისთვის განკუთვნილი შენობის მიშენება (350 ათასი ლარი); რეაბილიტაცია ჩაუტარდება სოფელ ყიზილაჯლოსა და ქ, მარნეულის №4 საბავშვო ბაგა-ბაღებს, სოფელ კაპანახჩისა და შაუმიანის საბავშვო ბაღებში განხორციელდება სველი წერტილებისა და სამზარეულოს რეაბილიტაცია(54, 1 ათასი ლარი);
- მნიშვნელოვნად გაიზრდება ზოგადი განათლების საბიუჯეტო დაფინანსება, ასევე მასწავლებელთა და სკოლის ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურება;
- განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა არაქართულენოვან სკოლებში ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის ხელშეწყობას ბილინგვური განათლების მიდგომის გამოყენებით, რაც საშუალებას მისცემს ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელ ყველა ბავშვს შეისწავლოს მშობლიური და სახელმწიფო ენები სრულფასოვნად.
- მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით განხორციელდება მარნეულში იდენტიფიცირებული 6-დან 16 წლამდე სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების ოჯახებთან/ფაქტობრივ მეურვეებთან კომუნიკაცია ბავშვების განათლების უფლების უზრუნველყოფის მიზნით.
- **გაგრძელდება მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაცია,** მათ შორის: 240 მოსწავლეზე გათვლილი, სოფელ ხულდარის საჯარო სკოლის მშენებლობა – 3 მლნ 391,2 ათასი ლარი; 300 მოსწავლეზე გათვლილი, სოფელ ჯანდარის საჯარო სკოლის მშენებლობა – 3 მლნ 882,2 ათასი ლარი; 300 მოსწავლეზე გათვლილი, სოფელ კურტლიარის საჯარო სკოლის მშენებლობა – 3 მლნ 860,8 ათასი ლარი; 450 მოსწავლეზე გათვლილი, სოფელ კასუმლოს საჯარო სკოლის მშენებლობა – 6 მლნ 168,8 ათასი ლარი; 450 მოსწავლეზე გათვლილი, სოფ. შულავერის საჯარო სკოლის მშენებლობა – 6 მლნ 389,1 ათასი ლარი;
- პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, დაინერგება კვალიფიკაციების ახალი ჩარჩო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა ავტორიზაციის ახალი სტანდარტები და პროცედურები, კრედიტების ახალი სისტემა და კერძო სექტორის მიერ/მონაწილეობით პროფესიული სტანდარტების შემუშავების წესი;
- ამოქმედდება პროფესიული განათლების მასწავლებლის შედეგებზე ორიენტირებული შრომის ანაზღაურების ახალი სქემა;
- გაიზრდება უმაღლესი განათლების საბიუჯეტო დაფინანსება, შემუშავდება უმაღლესი განათლების სისტემის დაფინანსების ახალი მოდელი;
- შემუშავდება და დამტკიცდება საქართველოში მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების სტრატეგიული გეგმა, რომლის მთავარი მიზანი იქნება ქვეყნის ეკონომიკის სტრატეგიული განვითარების მოთხოვნებსა და საზოგადოების საჭიროებებზე ორიენტირებული ინსტიტუციების განვითარების ხელშეწყობა.

ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ, ᲡᲞᲝᲠᲢᲘ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

„ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, 2012 ᲬᲚᲘᲡ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲛ ᲛᲘᲐᲦᲬᲘᲐ ᲐᲠᲡᲔᲑᲘᲗ ᲬᲘᲜᲘᲡᲕᲚᲐᲡ, ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲐᲓ, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ. ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ ᲔᲥᲪᲔᲕᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡ, ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲕᲚᲐ-ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲝᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲐ-ᲠᲔᲡᲢᲐᲕᲠᲐᲪᲘᲐᲡ, ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲯᲐᲜᲡᲐᲦᲘ ᲬᲔᲡᲘᲡ ᲓᲐᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲑᲐᲡ. ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲡᲢᲠᲐᲢᲔ�გᲘᲣᲚᲘ ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲐᲡ.

ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ

„ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, 2012 ᲬᲚᲘᲡ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲛ ᲛᲘᲐᲦᲬᲘᲐ ᲐᲠᲡᲔᲑᲘᲗ ᲬᲘᲜᲘᲡᲕᲚᲐᲡ, ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲐᲓ, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ. ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ ᲔᲥᲪᲔᲕᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡ, ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲕᲚᲐ-ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲝᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲐ-ᲠᲔᲡᲢᲐᲕᲠᲐᲪᲘᲐᲡ, ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲯᲐᲜᲡᲐᲦᲘ ᲬᲔᲡᲘᲡ ᲓᲐᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲑᲐᲡ. ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲡᲢᲠᲐᲢᲔ�გᲘᲣᲚᲘ ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲐᲡ.

მარნეულში ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული შემდეგი დაწესებულებები: მიხეილ ჯავახიშვილის სახელობის მუზეუმი (სოფელ წერაქვში), მელიქ ფაშაევის სახელობის მუზეუმი (სოფელ შაუმიანში), საჯარო ბიბლიოთეკა 2 მუზეუმი, 5 ბიბლიოთეკა, 7 კულტურის სახლი და 1 სამუსიკო სკოლა.

2020 წელს, 2013 წელთან შედარებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით კულტურის სფეროს ხარჯები 415 ათასიდან 989,8 ათას ლარამდე გაიზარდა..

2014-2021 წლებში, მნიშვნელოვნად გაიზარდა საზოგადოების ჩართულობა კულტურულ ცხოვრებაში. მუნიციპალიტეტში ეწყობა „ალილოს“ მსვლელობა და საახალწლო ღონისძიებები, აღინიშნება „ნოვრუზ ბაირამის“ დღესასწაული, ტარდება საქართველოს დამოუკიდებლობის დღისა და 9 აპრილისადმი მიძღვნილი ღონისძიებები, აგვისტოს ომში დაღუპულ მეომართა მოსახსენებელი ღონისძიება, სოფელ წერაქვში აღინიშნება „ჯავახიშვილობა“ – მიხეილ ჯავახიშვილის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიება, მუზეუმის დღესთან დაკავშირებით წერაქვში, მ. ჯავახიშვილის მუზეუმში იმართება ღონისძიება „ღამე მუზეუმში“. 2016 წლიდან იმართება „ღვინის ფესტივალი”.

ესპანეთში, ფესტივალზე FOLK FESTIVAL IN CATALONIA (2016 წელი), გრან-პრის ფლობელი გახდა მარნეულის „კულტურის ცენტრთან“ არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლი “ენგური” , რომელიც აერთიანებს სხვადასხვა ეთნოსს – ქართველ, სომეხ და უმეტესად აზერბაიჯანელ წარმომადგენლებს; 2016 წელს, მუნიციპალიტეტმა უმასპინძლა თეატრალურ ფესტივალს, ჩატარდა ქართული ტრადიციული სიმღერის კონკურს-ფესტივალი „სხვა საქართველო სად არის“, სადაც მონაწილეობდნენ ქვემო ქართლის მუნიციპალიტეტებში მცხოვრები სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენელი ახალგაზრდები.

2016-2020 წლებში, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ხელშეწყობით, ქ. მარნეულსა და მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფლებში (ალგეთი, აზიზქენდი, თაზაქენდი, სადახლო, ყიზილაჯლო, ყაჩაღანი, შაუმიანი, წერაქვი, ოფრეთი) ხორციელდება პროექტი **„მრავალფეროვანი საქართველო“** , რომლის მიზანია საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობათა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა, ახალგაზრდების ინფორმირებულობა და შემოქმედებითი უნარების განვითარება. პროექტის ფარგლებში იმართება კულტურულ-საგანმანათლებლო ტიპის ღონისძიებები/ აქტივობები.

მარნეულის ცენტრალური ბიბლიოთეკა

2014-2016 წლებში, განხორციელდა კულტურის ობიექტების მშენებლობა-რებილიტაციის პროექტები: ქალაქ მარნეულში აშენდა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ბიბლიოთეკა **(2016 წელი),** მოეწყო სკვერები ქ. მარნეულის ბიბლიოთეკასთან, ასევე სოფლებში: სადახლო, შაუმიანი და მარეთი, რეაბილიტაცია ჩაუტარდა კულტურის სახლებს ქ. მარნეულში, კაჩაგანსა და სიონში.

2017 წელს განხორციელდა სოფ. წერაქვის მიხეილ ჯავახიშვილის სახელობის მუზეუმის რეაბილიტაცია (3,6 ათასი ლარი). ქ. მარნეულში აშენდა საჯარო ბიბლიოთეკა – 333 ათასი ლარი.

2019 წელს განხორციელდა „გადაჭრილ გორასთან“ მისასვლელი გზისა და ძეგლის გადახურვის პროექტი. ასევე სოფელ იმირთან, სადაც მდებარეობს ყველაზე ძველი ღვინის კერა მსოფლიოში, განხორციელდა არქეოლოგიური ნიმუშების დაცვისა და მოვლა-პატრონობის პროექტი – 100 ათასი ლარი. რეაბილიტაცია ჩაუტარდა სოფელ ხოხმელის კულტურის სახლს (15 ათასი ლარი); და ძეგლს „კიდევაც დაიზრდებიან“ (მეორე ეტაპი – 1 მლნ 94 ათასი ლარი);

2020 წელს სოფელ კუშუჩში, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთან, გაგის ციხესთან მოეწყო გარე განათება. სოფელ იმირში გაგრძელდა პროექტი, რომელიც მსოფლიოში ყველაზე ძველი ღვინის კერის არქეოლოგიური ნიმუშების დაცვასა და მოვლას ითვალისწინებს (100 ათასი ლარი); მარნეულში მოეწყო იაკობ გოგებაშვილის ბიუსტი (12,2 ათასი ლარი); სოფელ საიმერლოში დასრულდა აგვისტოს ომში დაღუპული მებრძოლის, ზაზა ბოჭოიძის სახელობის მემორიალის რეაბილიტაცია (5,5 ათასი ლარი); ქ. მარნეულში 2020 წელს 26 მაისის ქუჩაზე განთავსდა მერაბ კოსტავას ბარელიეფი.

მიზნობრივი პროგრამების ფარგლებში კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ შემდეგი პროექტები განახორციელდა: გერმანული კულტურული მემკვიდრეობის ინვენტარიზაცია–კვლევის ჩატარება ბოლნისში, თეთრწყაროში, მარნეულში, გარდაბანში, მანგლისში, დმანისში, წალკაში (100 ათასი ლარი); წოფის დარბაზული ეკლესის რეაბილიტაცია, სამხრეთ მინაშენის კედლების კონსერვაცია და ტაძრის სრული აღდგენა; ეთნიკურ უმცირესობათა ხელშეწყობა – პროექტ „მრავალფეროვანი საქართველოს” მხარდაჭერა (13 ათასი ლარი). მარნეულის მუნიციპალიტეტს ფარავს სამინისტროს სერტიფიცირებული მარშრუტი – „გერმანული დასახლებები და არქიტექტურული მემკვიდრეობა საქართველოში“, რომელიც ხელს უწყობს ადგილობრივი კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციასა და კულტურული ტურიზმის განვითარებას.2019 წელს, კულტურის ხელშეწყობის პროგრამით, სსიპ შემოქმედებითი საქართველოს მიერ ფესტივალების ხელშეწყობის კონკურსის საფუძველზე, დაფინანსდა პროექტი – საერთაშორისო ფესტივალი „ერთი კავკასია“ (15 ათასი ლარი).

მარნეულის საჯარო ბიბლიოთეკაში, 2020 წლის ოქტომბერში, მარნეულის საჯარო ბიბლიოთეკის, კულტურის ცენტრის და სოფელ ხოჯორნის საჯარო სკოლის მიერ ერთობლივად ჩატარებული „ქართული ლექსის“ კითხვის ონლაინ კონკურსის გამარჯვებულების დაჯილდოების ცერემონიალი გაიმართა. მ. ჯავახიშვილის სახელობის მუზეუმში გაიმართა საჯარო ლექცია მარნეულის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შესახებ. შემდგომ პერიოდში პანდემიამ გამოიწვია დაგეგმილი ღონისძიებების ცვლილება.

ᲡᲞᲝᲠᲢᲘ

მარნეულში ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ა(ა)იპ მარნეულის მუნიციპალიტეტის სასპორტო სკოლა, 2 სპორტული დარბაზი (ქ. მარნეულის ძიუდოს დარბაზი და „ათა ჰოლდინგის“ დარბაზი) და 5 სპორტული მოედანი (ქ. მარნეულის ცენტრალური მოედანი, 4 მოედანი სოფლად: წერეთელის, იმირის, ქვემო სარალისა და საიმერლოს), გარდა ამისა მუნიციპალიტეტში 23 მინისტადიონია (მათგან 11 – ქ. მარნეულში).

2020 წელს, 2013 წელთან შედარებით, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სპორტის სფეროს ხარჯები 576,2 ათასიდან 1545,3 ათას ლარამდე გაიზარდა.

მუნიციპალიტეტის პრიორიტეტული სპორტის სახეობებია: ძიუდო, კრივი, ფეხბურთი, ქართული ჭიდაობა, კალათბურთი, აკრობატიკა, თავისუფალი ჭიდაობა, ტაეკვონდო, კიკბოქსინგი, მკლავჭიდი, სამჭიდი, ბატუტზე ხტომა, მშვილდოსნობა, ჭადრაკი, ჯიუ-ჯიცუ, მხატვრული ტანვარჯიში და რაგბი. სპორტსკოლის აღსაზრდელები მონაწილეობენ რეგიონულ, რესპუბლიკურ და საერთაშორისო ტურნირებში, სადაც შთამბეჭდავ წარმატებას აღწევენ.

2013-2021 წლებში, განხორციელდა მარნეულის მუნიციპალიტეტის სპორტული ობიექტების მშენებლობა/ რეაბილიტაციის პროექტები: 2014 წელი – მარნეულში, აღმაშენებლისა და ჯანდარის ქუჩაზე კომბინირებული მინისტადიონის მშენებლობა; **2015 წელი** – იმირში ბუნებრივი ბალახისსაფარიანის სპორტული მოედნის რემონტი; ქვემო სარალში სპორტული დარბაზის მშენებლობა, შულავერში ბუნებრივი ბალახისსაფარიანი სპორტული მოედნის მოწყობა, საიმერლოსა და წერეთელში ბუნებრივსაფარიანი სპორტული მოედნების რეაბილიტაცია, თამარისში კომბინირებული მინი სტადიონის მოწყობა, მარნეულში, 26 მაისის ქუჩაზე, არსებული კომბინირებული მინისტადიონის რეაბილიტაცია. **2016 წელი** – №1 სამხედრო დასახლებაში, ჯანდარის დასახლებასა და გამსახურდიას ქუჩაზე მდებარე სპორტული მოედნების რეაბილიტაცია, შაუმიანში ბუნებრივი ბალახისსაფარიანი სპორტული მოედნის მოწყობა, ალგეთში ბუნებრივი ბალახისსაფარიანი სპორტული მოედნის მოწყობა და რკინის კონსტრუქციის მონტაჟი, ზემო ყულარის სპორტული მოედნის შემოღობვა. 2017 წელს რეაბილიტაცია ჩაუტარდა სპორტულ მოედანს სოფელ იმირში (1 ათასი ლარი);

2018 წელს, სპორტული მოედანი მოეწყო სოფელ წერეთელში (67,1 ათასი ლარი); ქ. მარნეულში, რუსთაველის ქუჩა №82–ში არსებული მინისტადიონის რეაბილიტაციაზე დაიხარჯა 3,4 ათასი ლარი.

2018-2019 წლებში, ხელოვნურსაფარიანი კომბინირებული მინისტადიონი, ბავშვთა გასართობი მოედანი და სავარჯიშო ტრენაჟორები მოეწყო ქ. მარნეულში (142 ათასი ლარი). იმავე პერიოდში, ხელოვნურსაფარიანი კომბინირებული მინისტადიონები მოეწყო მუნიციპალიტეტის სოფლებში: ხოჯორნი (82,4 ათასი ლარი); დამია გეურარხი (70,8 ათასი ლარი); საიმერლო (75,5 ათასი ლარი); მარეთი (70,7 ათასი ლარი); სპორტული დარბაზი აშენდა სოფ. თამარისში (500 ათასი ლარი). 2019 წელს გარე სავარჯიშო მოწყობილობები (ტრენაჟორები) დაიდგა ქ. მარნეულში, სამხედრო დასახლებაში (32,6 ათასი ლარი). 2020 წელს ხელოვნურსაფარიანი კომბინირებული მინისტადიონი მოეწყო სოფელ საბირქენდში (75,5 ათასი ლარი).

2021 წელს მიმდინარეობს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ძიუდოს სპორტული დარბაზის მშენებლობა სოფელ თამარისში (777,8 ათასი ლარი). ხელოვნურსაფრიანი, კომბინირებული მინისტადიონების მოწყობის სამუშაოები სოფლებში: კსჩაგანი, ქეშალო, ენიქენდიოფი, ზემო სარალიოფი, ახალი ლალალო, წერეთელი, ყიზილაჯლო (160 ათასი ლარი); სოფელ საიმერლოში მოეწყო სკვერი – 84,4 ათასი ლარი.

2013-2016 წლებში, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით, სპორტულმა ფედერაციებმა მუნიციპალიტეტში 5 შიდა ჩემპიონატი (38,6 ათასი ლარი) ჩაატარეს. სამინისტრომ დააფინანსა 1 ქუჩის სავარჯიშო მოწყობილობის მშენებლობა (13,6 ათასი ლარი), შეიძინა

სხვადასხვა მცირეფასიანი ინვენტარი(1,9 ათას ილარი), მუნიციპალიტეტს გადასცა სპორტული ინვენტარი და საჭიდაო ტატამი (9 ათასი ლარი).

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ახალგაზრდული მიმართულებებით სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახის პროექტი განახორციელა: „საინფორმაციო კამპანიები ნარკომანიისა და თამბაქოს წინაღმდეგ“; „ქვემო ქართლის ახალგაზრდული ფესტივალი 2013“ (ქვემო ქართლის ყველა შემოქმედებითი კოლექტივი, 600-მდე მონაწილე); „მოსწავლე-ახალგაზრდების პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობის პროგრამით” სამინისტროს მიერ შექმნილი ვებ-გვერდის www.myprofession.gov.ge და სახელმძღვანელოს – „აირჩიე პროფესია“ შესახებ საინფორმაციო შეხვედრის ორგანიზება დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებთან, მათ შორის – აბიტურიენტებთან (200 მონაწილე); რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდების განვითარების ხელშეწყობის პროგრამით ლაშქრობების მოწყობა; „საქართველოს თასი ლაშქრობაში“; „საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის ხელშეწყობის პროგრამით“ მარნეულის ახალგაზრდობის ცენტრის რადიომაუწყებლობის ტექნიკური აღჭურვილობის გამართვა, პერსონალის შერჩევა/ტრენინგი, სტრუქტურისა და მაუწყებლობის ხარისხის გაუმჯობესება, საცდელი გადაცემების ჩაწერა ქართულ და აზერბაიჯანულ ენაზე;

სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის მხარდაჭერით, მუნიციპალიტეტში ახალგაზრდობის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციამ ა(ა)იპ „სტუდენტური საერთაშორისო ინიციატივა“ განახორციელა პროექტი „ახალგაზრდები მდგრადი აგრარული და გარემოსდაცვითი განვითარებისთვის“ (ღირებულება – 67,6 ათასი ლარი). პროექტი მიზანად ისახავდა აგრარულ სექტორში მეხილეობის სფეროს მდგრადი განვითარების ხელშეწყობას, სოფლად მცხოვრები ახალგაზრდების ადგილზე დამაგრების ხელშეწყობას.

2014 წელს თვითმმართველობაში შეიქმნა ადგილობრივი, აქტიური ახალგაზრდების ბაზა, რომლებიც მოხალისეობრივად ერთვებიან ადგილობრივი ღონისძიებების ორგანიზებაში.

2019 წლის დეკემბერში, მარნეულის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდული საჭიროებების კვლევაზე დაყრდნობით, შემუშავდა ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი, სადაც გამოიკვეთა ხუთი სტრატეგიული მიზანი: ახალგაზრდების მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ახალგაზრდებისთვის ჯანსაღი გარემოს შექმნა, ახალგაზრდული საქმიანობის მხარდაჭერდა, დასაქმების ხელშეწყობა და ახალგაზრდებისთვის თანასწორი განვითარების შესაძლებლობა.

მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში, კულტურის, სპორტისა და მიმართულებებით, მარნეულის მუნიციპალიტეტში შემდეგი ღონისძიებები გატარდება:

- უზრუნველყოფილი იქნება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროში მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ინსტიტუციების ეფექტიანი და შედეგებზე ორიენტირებული საქმიანობა;
- გაიზრდება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროების დაფინანსება;
- გაიზრდება კულტურის ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის;
- განხორციელდება კულტურული ცხოვრების ხელშემწყობი და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა-რეაბილიტაციის ღონისძიებები;
- მუნიციპალიტეტში განხორციელდება კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს პროექტი: დევნილთა კომპაქტურ დასახლებებში სახელოვნებო წრეების ფუნქციონირების ხელშეწყობა – სკოლებში სხვადასხვა წრის (თექა, კერამიკა, ხატვა, ქსოვა, ხალხური საკრავები) ფუნქციონირება;
- დაგეგმილია წერაქვის კომპლექსის რეაბილიტაცია – 400 ათასი ლარი;
- დაგეგმილია ქ. მარნეულში არსებული ოთხი კომბინირებული მინისტადიონის რეაბილიტაცია – 123,4 ათასი ლარი;
- გაგრძელდება სპორტის მასობრივი და მაღალი მიღწევების მქონე სახეობების განვითარება;
- ხელი შეეწყობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში სპორტის პრიორიტეტულ სახეობათა პოპულარიზაციას;
- ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდების სპორტული შესაძლებლობების გამოსავლენად, გაგრძელდება წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობა და მათთვის შესაბამისი პირობების შექმნა;
- გაგრძელდება სპორტული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაცია, განხორციელდება შემდეგი პროექტები: 2020-2021 წლებში, ქ. მარნეულში საფეხბურთო სტადიონის (უეფას მეორე კატეგორიის) რეაბილიტაციაზე 6 მლნ 777,5 ათასი ლარი დაიხარჯება;
- ხელი შეეწყობა მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში ახალგაზრდების ჩართვასა და მათ მიერ ინიცირებული პროექტების განხორციელებას;
- განხორციელდება სპორტული ცხოვრების განვითარებისა და ახალგაზრდობის ეფექტიანი პოლიტიკის გატარების ხელშემწყობი პროექტები.

ხელოვნურსაფარიანი, კომბინირებული მინი სტადიონი სოფელ ახლოლალოში

ᲛᲐᲠᲗᲚᲬᲔᲡᲠᲘ�გᲘ

ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘᲡ ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲐ

2017-2020 წლებში, მარნეულის მუნიციპალიტეტში, მძიმე დანაშაულის (იმ 5 სახეობის – მკვლელობა, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, გაუპატიურება, ძარცვა, ყაჩაღობა, რაც არსებითად განსაზღვრავს კრიმინოგენური მდგომარეობის სურათს, მიხედვით) სტატისტიკა მოყვანილია ცხრილში:

მძიმე დანაშაულის სტატისტიკა მოწმობს, რომ მარნეულის მუნიციპალიტეტში, 2017-2020 წ.წ., კრიმინოგენური მდგომარეობა არსებითად არ დამძიმებულა: ამ წლებში მთლიანად რეგისტრირებულია კრიმინოგენური მდგომარეობის სურათის განმსაზღვრელ სახეობათა დანაშაულების სულ 67 შემთხვევა, რომელთაგან გახსნილია – 50, ანუ 75%, რაც გახსნის მაღალი მაჩვენებელია. სტატისტიკით დასტურდება, რომ მძიმე დანაშაულის რეგისტრირებული შემთხვევები მუნიციპალიტეტში ხშირი არ არის, ყოველწლიურად საშუალოდ 15-20 შემთხვევის ფარგლებშია, ხოლო მათი არსებითი ზრდა წლების მიხედვით არ შეინიშნება.

საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის ეფექტიანი სისტემის უზრუნველყოფისთვის **შინაგან საქმეთა სამინისტროს** შემდგომი განვითარება გაგრძელდება **„სისტემური განახლების“** კონცეფციის შესაბამისად. უმნიშვნელოვანესია, რომ გაღრმავდება **კრიმინალური პოლიციის რეფორმა;** კერძოდ, კრიმინალურ პოლიციაში დასრულდება საუბნო მიმართულების ეტაპობრივი ჩანაცვლება საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის მოდელით. განვითარდება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი **მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტი,** რომლის უმთავრესი ამოცანა იქნება დანაშაულის პრევენციაზე მუშაობა.

ᲞᲠᲝᲑᲐᲪᲘᲝᲜᲔᲠᲗᲐ ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲐ

2017-2020 წ.წ., მარნეულის მუნიციპალიტეტში, პრობაციონერთა სტატისტიკა მოყვანილია ცხ.2 -ში.

20127-2020 წ.წ.-ში მოქმედ პრობაციონერთა რაოდენობა დასტაბილურდა და, წინა წლებისგან განსხვავებით, კლების ტენდენცია აღინიშნება. მოქმედ პრობაციონერთა შორის განმეორებით ჩადენილი დანაშაულის შემთხვევები პროცენტულად მაღალი არ არის, 7,5%-ს (2019 წელს) არ აღემატება, ხოლო გასულ 2020 წელს, სულ 5 ასეთი შემთხვევა აღირიცხა, რაც პრობაციონერთა 1,6%-ს შეადგენს. პრობაციონერთა შორის რეციდივის დაბალი მაჩვენებელი მოწმობს მუნიციპალიტეტში კრიმინოგენული ვითარების სტაბილურობაზე.

პრობაციის სააგენტოს ინიციატივითა და ხელშეწყობით, მუნიციპალიტეტში დასაქმდა 4 მსჯავრდებული. სამომავლოდ პრობაციის სააგენტო გეგმავს, უფრო მეტ მსჯავრდებულს დაუჭიროს მხარი და აქტიურად შეუწყოს ხელი ადგილზე დასასაქმებლად; ასევე, მიუხედავად პანდემიის გამოწვევისა, მუნიციპალიტეტში განზრახულია პრობაციონერთა სოციალური რეაბილიტაციის სპეციალური პროგრამების ეფექტიანი განხორციელება.

ᲛᲐᲠᲜᲔᲣᲚᲘᲡ ᲘᲣᲡᲢᲘᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲔᲑᲘ

2012 წლის 10 სექტემბრიდან, ქალაქ მარნეულში, შეუფერხებლად მუშაობს იუსტიციის სახლი, რომელიც მოსახლეობას უკვე 450-მდე სახის მომსახურეობას უწევს;

იუსტიციის სახლის გახსნის შემდგომ მარნეულის მუნიციპალიტეტის ყოველ მოქალაქეს შესაძლებლობა ეძლევა, მისთვის კომფორტულ გარემოში, ერთ შენობაში, ზედმეტი დროის ხარჯვის გარეშე და მაქსიმალურად ხელსაყრელ პირობებში, მიიღოს ისეთი მნიშვნელოვანი და აუცილებელი დოკუმენტები. იუსტიციის სახლის მომსახურეობით კმაყოფილების ხარისხი, ჩატარებული კვლევების შესაბამისად – 92%-ს აღწევს, რაც საჯარო მომსახურეობის სფეროში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.

2017 წლის ადგილობრივ არჩევნებზე, „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო პროგრამაში, საზოგადოებრივ მომსახურეობათა ხარისხობრივი გაუმჯობესებისა და მათი ხელმისაწვდომობისათვის ერთ-ერთ პრიორიტეტად მუნიციპალიტეტის დასახლებებში, საზოგადოებრივი ცენტრების ამოქმედება დასახელდა. **საზოგადოებრივი ცენტრი,** იუსტიციის სახლის მსგავსად, წარმოადგენს სათანადო ინფრასტრუქტურითა და უახლესი ტექნიკით აღჭურვილ სივრცეს, სადაც მოქალაქეს დასახლებიდან გაუსვლელად შეუძლია მისთვის კომფორტულ და ხელსაყრელ გარემოში მიიღოს 200-მდე სახის სახელმწიფო, ასევე კერძო მომსახურება. „საზოგადოებრივი ცენტრი“ განახორციელებს არა მხოლოდ სახელმწიფო, არამედ უკვე მუნიციპალურ სერვისებსაც; მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში ტერიტორიული ორგანოების აღდგენის კვალობაზე საზოგადოებრივი ცენტრი წარმატებით შეასრულებს შესაბამისი ერთეულის ადმინისტრაციის, აგრეთვე მასთან არსებული სათემო საბჭოს თანამედროვე, მაღალტექნოლოგიური ოფისის ფუნქციას.

სოფელ სადახლოში საზოგადოებრივი ცენტრი 2016 წლის 16 თებერვლიდან შეუფერხებლად ფუნქციონირებს; მას 2019 წლის 13 დეკემბრიდან ასევე შეემატა ყაჩაღანის საზოგადადოებრივი ცენტრი.

ცხ. 1 მარნეულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე დანაშაული 2017-2020 წწ.

მძიმე დანაშაული სახეობათა მიხედვით	2017	2018	2019	2020
განზრახ მკვლელობა (სსკ-ის 108-ე-109-ე მუხლები) მათ შორის, გახსნილი	2 2	3 3	0 0	2 2
მძიმე დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ (სსკ-ს 117-ე მუხლი, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება) მათ შორის, გახსნილი	7 6	4 3	4 4	8 7
გაუპატიურება (სსკ-ს137-ე მუხლი) მათ შორის, გახსნილი	1 1	1 0	4 1	5 4
ძარცვა (სსკ-ს 178-ე მუხლი) მათ შორის, გახსნილი	3 0	3 1	6 5	5 5
ყაჩაღობა (სსკ-ს 179-ე მუხლი) მათ შორის, გახსნილი	1 1	3 2	3 3	2 2
სულ მათ შორის გახსნილი	14 10	14 8	17 12	22 20

ცხ.2 პრობაციონერთა სტატისტიკა მარნეულის მუნიციპალიტეტში

პრობაციონერთა სტატისტიკა	2017 წ	2018 წ	2019 წ	2020 წ
მოქმედ პრობაციონერთა საერთო რაოდენობა	376	393	345	320
არასრულწლოვან მოქმედ პრობაციონერთა რაოდენობა	1	0	0	3
დანაშაულის რეციდივის შემთხვევები	18(4,8%)	16(4,1%)	26(7,5%)	5(1,6%)
სოციალური რეაბილიტაციის პროგრამაში მონაწილე პრობაციონერთა რაოდენობა	0	0	0	0
პრობაციის ეროვნული სააგენტოს ინიციატივითა და ხელშეწყობით დასაქმებულ მსჯავრდებულთა რაოდენობა	0	0	4	0

ᲩᲔᲛᲝ ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲔᲑᲝ!

მარნეული ჩემი მშობლიური მუნიციპალიტეტია, აქ დავიბადე და გავიზარდე, განათლების მიღებისა და სამუშაო გამოცდილების დაგროვების შემდეგ კი, დღემდე, ამ ქალაქსა და ქალაქში მცხოვრებ მშრომელ, პატრიოტ ხალხს ვემსახურები.

მარნეული ცნობილია მშრომელი ხალხით, ამიტომაც ქართული ეკონომიკისთვის მნიშვნელოვანი ქალაქია, სადაც სხვადასხვა ეთნოსისა და აღმსარებლობის ადამიანები ერთმანეთს პატივს სცემენ, მშვიდობიანად თანაცხოვრობენ და საქმიანობენ.

ადგილობრივი თვითმმართველობის მომავალ არჩევნებზე მარნეულს სჭირდება განვითარების სწორი ხედვა, შუამავალი ცენტრალურ ხელისუფლებასთან და როგორც არსებული გამოწვევების, ისე მათი გადაჭრის გზების მცოდნე ადამიანი. პირადად მე, უკვე ნახევარი წელია მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ვარ და ყველა იმ პრობლემას გავეცანი, რაც მარნეულელებს აწუხებს. ეს დრო მნიშვნელოვანი იყო იმისთვისაც, სრულყოფილად გავცნობოდი სამომავლო პროექტებს, რომლებიც ინფრასტრუქტურის, განათლების, სოფლის მეურნეობის, ეკონომიკის განვითარებისა თუ სხვა მიმართულებითაა დაგეგმილი.

დარწმუნებული ვარ, მარნეულელები სწორ არჩევანს გააკეთებთ, პატივს დამდებთ და მანდობთ ქალაქის მართვას, რაც იმის გარანტია იქნება, რომ ყველა მიმდინარე პროექტი სრულყოფილად დასრულდება და კიდევ უფრო მასშტაბურ პროექტებს განვახორციელებთ. ჩვენ ერთად უნდა დავგეგმოთ მარნეულის ხვალინდელი დღე!

ჩემი მხარდაჭერით, თქვენ ირჩევთ „ქართული ოცნების“, იმ გუნდის წარმომადგენელს, რომელმაც ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან რეგიონების განვითარებაზე ზრუნვა ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტად დასახა. სწორედ ამიტომ, მოგიწოდებთ მხარდაჭერისა და თანადგომისკენ, რადგანაც ამ მუნიციპალიტეტის განვითარება თითოეული ჩვენგანის პასუხისმგებლობაა.

ერთად აუცილებლად გავიმარჯვებთ!

„ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბი ყველა ამომრჩეველს და საჯარო მოსამსახურეს მოუწოდებს, კენჭისყრის დღემდე და კენჭისყრის დღეს დაიცვან ქცევის შემდეგი წესები:

- დაუშვებელია საჯარო მოსამსახურეების, საჯარო სკოლების პედაგოგების, აგრეთვე სსიპ-ებისა და სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების თანამშრომლების საარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობა სამუშაო საათებში ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, მათ შორის სოციალურ ქსელებში პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვის გზით;

- დაუშვებელია სახელმწიფო და მუნიციპალური თანამდებობის პირების მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;

- დაუშვებელია ამომრჩევლისთვის რაიმე მატერიალური ან არამატერიალური სარგებლის გადაცემა ან შესაბამისი დაპირების გაცემა ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;

- დაუშვებელია ამომრჩევლის იძულება, სხვა პირს გაუმჟღავნოს საკუთარი არჩევანი, მათ შორის საარჩევნო ბიულეტენის ფოტოგადაღების ან საარჩევნო კაბინიდან გამოსვლის შემდეგ ბიულეტენის საჯაროდ ჩვენების გზით;

- კენჭისყრის კაბინაში ფოტო და ვიდეოგადაღება, აგრეთვე შევსებული საარჩევნო ბიულეტენის სხვა პირთათვის ჩვენება დაუშვებელია;

- დაუშვებელია ხმის მიცემა სხვა ამომრჩევლის ნაცვლად, აგრეთვე საარჩევნო ბიულეტენის შევსება სხვა პირის თანდასწრებით;

- კენჭისყრის შენობაში კენჭისყრის დღის 8 საათიდან 20 საათამდე აკრძალულია საარჩევნო აგიტაცია;

- მოვუწოდებთ ყველა პარტიის აქტივისტს, მხარდამჭერსა და ამომრჩეველს, თავი შეიკავონ საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე დაყოვნებისგან;

- აკრძალულია კენჭისყრის შენობაში ან კენჭისყრის შენობის მიმდებარედ ამომრჩევლის გადაადგილების ფიზიკურად შეფერხება.